2012 წელი, 9-15 თებერვალი
ფასი 1ლარი 30 თეთრი

ახალი განათლება

№6 (560) გამოდის 1998 წლიდან
www.axaliganatleba.ge

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის ფარგლებში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოოლოგიის მუზეუმს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა. დღეს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა და უნივერსიტეტის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა განახლებული მუზეუმი მოსწავლეებთან ერთად დაათვალიერეს.

ზოოლოგიის მუზეუმში სარემონტო და სარესტავრაციო სამუშაოები ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. მუზეუმის ექსპოზიციაში ხუთი ათასზე მეტი განახლებული ექსპონატია წარმოდგენილი, რომელიც ახალ ვიტრინებშია განთავსებული. გამოფენილ ნიმუშებს რესტავრაცია 1945 წლის შემდეგ პირველად ჩაუტარდა.

ამიერიდან, სხვა დამთვალიერებლებთან ერთად, განახლებულ მუზეუმში დაცულ ექსპონატებს სკოლის მოსწავლეებიც გაეცნობიან საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, მათ აქ საბუნებისმეტყველო საგნებში გაკვეთილებიც ჩაუტარდებათ. მუზეუმის თანამშრომლები, საგანგებოდ მოზარდებზე გათვლილი პროგრამის ფარგლებში, მოსწავლეებს შემეცნებით ექსკურსიებს შესთავაზებენ და ამით ხელს შეუწყობენ მათი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებით დაინტერესებას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ზოოლოგიის ფონდი 1921 წელს შეიქმნა. 1945 წელს კი, აკადემიკოს ნიკო კეცხოველის თაოსნობით, ფონდის ბაზაზე, ზოოლოგიის მუზეუმი დაარსდა. მუზეუმი ერთ-ერთი უმდიდრესია სამხრეთ კავკასიაში. გამოფენილი უნიკალური მასალა საინტერესოა არა მხოლოდ დამთვალიერებლებისთვის, არამედ მნიშვნელოვანია სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობისთვისაც.

გამოვიდა

კონსტანტინე გამსახურდია – VIII ტომი
რევაზ ინანიშვილი – VI ტომი
გრიგოლ აბაშიძე – III ტომი

საგანმანათლებლო კერა

საგანმანათლებლო კერების ჩამოყალიბების ისტორია სენაკის რაიონის ზერიზორიაზე

გვერდი 5

სასერტიფიკაციო გამოცდები

ბიოლოგიის პედაგოგთა დასახმარებლად

დაწყებითი კლასების მასწავლებელთათვის

გვერდი 6-7

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

არ შეუშინდეთ რისკს და წაგებას „გლობალური ლიდერის“ ამერიკული დღიურები

გვერდი 8-9

სასერტიფიკაციო გამოცდები

განვითარებისა და სწავლის თეორიები

მოკლე ინფორმაცია იმ ავტორების შესახებ, რომელთა ნააზრევის ცოდნაც მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით არის განსაზღვრული

გვერდი 2

გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა, 6 თებერვალს, ერთიანი ეროვნული გამოცდების, საერთო სამაგისტრო გამოცდისა და სტუდენტთა საგრანტო კონკურსისათვის რეგისტრაცია დაიწყო.

ინფორმაცია გამოცდებისათვის ინტერნეტით რეგისტრაციის შესახებ იხ. გვ. 5

სასერტიფიკაციო გამოცდები

განვითარებისა და სწავლის თეორიები

მოკლე ინფორმაცია იმ ავტორების შესახებ, რომელთა ნააზრევის ცოდნაც მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით არის განსაზღვრული

კარლ როჯერსი
(1902-1987)

ჰუმანისტური ფსიქოლოგია და სწავლა გამოცდილებით

ამერიკელმა ფსიქოლოგმა და ფსიქოთერაპევტმა, კარლ რენსომ როჯერსმა, რომელიც ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ფუძემდებელი იყო, ფსიქოლოგიური განათლება მიიღო ვისკონსინისა და კოლუმბიის უნივერსიტეტებში. როჯერსი სამედიცინო ფსიქოლოგიის პროფესორი იყო ოჰაიოს უნივერსიტეტში, 1945-46 წლებში – გამოყენებითი ფსიქოლოგიის ამერიკული ასოციაციის პრეზიდენტი, ხოლო 1956-58 წლებში – ფსიქოთერაპევტთა აკადემიის პრეზიდენტი.

როჯერსის პიროვნების თეორიის ძირითადი ცნებებია: **„მე-კონცეფცია“**, **„ფენომენოლოგია“** და **„თვით-აქტუალიზაციის ტენდენცია“**.

როჯერსი მიიჩნევდა, რომ ადამიანის ქცევა გარეგან სტიმულზე – გარემო რეალობაზე, უფრო მეტად სუბიექტურ გამოცდილებაზე – სუბიექტურ რეალობაზეა დამოკიდებული. ორგანიზმს გარემოსთან ურთიერთქმედების საკუთარი გამოცდილების საფუძველზე თანდათანობით უყალიბდება მე-ს ცნობიერება, **მე-კონცეფცია**, ანუ საკუთარი თავის შესახებ წარმოდგენა. მე-კონცეფცია ადამიანის გრძნობებისა და შეხედულებების ერთობლიობაა საკუთარ თავზე, საკუთარ ფიზიკურ და ფსიქიკურ შესაძლებლობებსა და თვისებებზე, სხვა ადამიანებსა და მათ დამოკიდებულებებზე. მე-ს ცნობიერების ჩამოყალიბება ბავშვის განვითარების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია. მის საფუძველზე აფასებს პიროვნება საკუთარ თავს, გარემოს, სხვა ადამიანების მისდამი დამოკიდებულებას და ა.შ.

როჯერსი მნიშვნელობას ანიჭებს ურთიერთმიმართებას ორგანიზმის აქტუალურ განცდასა და მე-კონცეფციას, თვით-აღქმას შორის. როდესაც ცნობიერებაში ასახული განცდები, ანუ მე-ს შესახებ წარმოდგენები რეალურად ასახავს ორგანიზმის მდგომარეობას (განცდები, შთაბეჭდილებები), პიროვნება კარგადაა ადაპტირებული და სრულად ფუნქციონირებს. ასეთი ადამიანის აზროვნება რეალისტურია, ის გრძნობებსა და განცდებს შიშისა და შფოთვის გარეშე იღებს. თუ წინააღმდეგობაა მე-კონცეფციასა და ორგანიზმის განცდებს შორის, ასეთ შემთხვევაში პიროვნებას უჩნდება შფოთვა და შიში, მისი ქცევა თავდაცვითი ხასიათისაა, ხოლო აზროვნება – შეზღუდული და მოუქნელი.

თვითაქტუალიზაციის ტენდენცია ადამიანის მე-სა და ორგანიზმის თანდაყოლილი უნარია. ის გულისხმობს ადამიანის განვითარებასა და საკუთარი შესაძლებლობების სრულად გამოვლენას. პიროვნული ზრდა და განვითარება წინააღმდეგობების გადალახვის, პრობლემის გადაწყვეტის გამოცდილების შედეგია. როჯერსის მიხედვით, თვითაქტუალიზაცია აღზრდის შედეგად ყალიბდება. უფროსების ბავშვისადმი დამოკიდებულება განსაზღვრავს მის თვითაღქმას, შეხედულებას საკუთარ თავზე და თვითაქტუალიზაციას. კერძოდ, როჯერსი მიიჩნევს, რომ **„უპირობო პოზიტიური დამოკიდებულება“** თვითაქტუალიზაციის აუცილებელი პირობაა. ასეთი დამოკიდებულება ადამიანს თვითპატივისცემისა და ღირსების გრძნობას უყალიბებს.

ბავშვს უნარების განვითარებისა და შესაძლებლობების რეალიზაციის მოთხოვნილება უახლოეს სოციალურ გარემოსთან ურთიერთობის პროცესში უყალიბდება. უფროსების შეფასებები და მის ქცევაზე რეაგირება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მე-კონცეფციის ჩამოყალიბებასა და პიროვნების თვითშეფასებაზე. სწორედ უფროსის მხრიდან **უპირობო პოზიტიური დამოკიდებულება, გულწრფელობა, მიმღებლობა და გაგებაა** ის მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც პიროვნების ფორმირებასა და მისი თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილების (ანუ განვითარებისა და საკუთარი თავის რეალიზების მოთხოვნილების) ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

როჯერსი მიიჩნევს, რომ სამყარო **ფენომენალური**, პირადულია თითოეული ადამიანისთვის. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი გარემოზე რეაგირებს საკუთარი ინდივიდუალური აღქმისა და შეგრძნებების საფუძველზე. მისი გარემოსთან ურთიერთობის გამოცდილება იმდენად უნიკალურია, რომ შეუძლებელია მის განცდებს ბოლომდე ჩასწვდეს მეორე ადამიანი. სწორედ ამიტომ როჯერსი ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანურ ურთიერთობებში ემპათიის გამოვლენას.

როჯერსი სწავლების ჰუმანისტური მოდელის მიმდევარია. ის გამოყოფს ორი სახის სწავლას: კოგნიტურს (რაც მოკლებულია მნიშვნელობას, რადგან უპიროვნოა) და გამოცდილებაზე დაფუძნებულს (მიზნობრივს, მნიშვნელოვანს, პიროვნულს). პირველი სახისაა ისეთი ცოდნის ათვისება, როგორიცაა მაგ., ლექსიკონის გამოყენების, გამრავლების ტაბულის სწავლა. მეორეა ისეთი ცოდნის შეძენა, როგორიცაა მაგ., ძრავების შესწავლა მანქანის შეკეთების მიზნით. მათ შორის განსხვავება ის არის, რომ გამოცდილებით სწავლება მოსწავლის მოთხოვნილებებსა და ინტერესებს აკმაყოფილებს.

გამოცდილებით სწავლების მახასიათებლებია: პიროვნული ჩართულობა, მოსწავლის ინიციატივა, სწავლის შედეგების თვითშეფასება. შესაბამისად, მასწავლებელი ინფორმაციის გადამცემი კი არ არის, არამედ სწავლის ფასილიტატორი, ხელის შემწყობია. მასწავლებელი მოსწავლეს უქმნის ისეთ გარემოს, რომელიც კომფორტულია და საფრთხეს არ უქმნის მის მე-ს, მის თვით-აღქმას და კარგი პირობაა თვით-აქტუალიზაციისთვის. მოსწავლე მონადინებულია, გაიგოს ახალი, განვითარდეს, საკუთარი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოავლინოს, რადგან მას პატივს სცემენ, აფასებენ, გულწრფელად მხარს უჭერენ, უპირობო დადებითი დამოკიდებულება აქვთ მისდამი. ამ სიტუაციაში მოსწავლეს არა აქვს ექსპერიმენტირების, შეცდომის დაშვების შიში და ადვილად შეძლებს ქცევის თვითმართვის ჩვევების დაუფლებას.

გამოცდილებით სწავლების ძირითადი პრინციპებია:

1. სწავლა მნიშვნელოვანი ხდება მოსწავლისთვის, თუ ის მის პიროვნულ ინტერესებს შეესატყვისება.
2. სწავლების პროცესი მიუღებელი და საშიშია მოსწავლისათვის, როდესაც მის მე-კონცეფციას საფრთხე ექმნება (რთული მასალა, ახალი ტიპის დავალებები, ახალი მოთხოვნები). ამ შემთხვევაში აუცილებელია მოსწავლის შიშისა და შფოთვის მინიმუმამდე დაყვანა.
3. სწავლა სწრაფი და პროდუქტულია, თუ ის საშიში არ არის თვითაღქმისა და მე-სთვის.
4. სწავლაში მოსწავლის მხრიდან გამოვლენილ ინიციატივას ხანგრძლივი და მყარი ეფექტი აქვს.

„ხელის შემწყობი“, ფასილიტატორი მასწავლებელი:

- ❖ მოქნილია თავის შეხედულებებსა და დამოკიდებულებებში;
- ❖ შეუძლია მოსწავლეთა მოსმენა და მათი განცდების გაგება;
- ❖ საგნის სწავლებასთან ერთად მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევს მოსწავლეთა შორის დამოკიდებულებებს და მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობას;
- ❖ ღიაა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი უკუკავშირის მისაღებად, საკუთარი თავისა და ქცევის ღრმად გასააზრებლად.

გამოცდილებით სწავლების შემთხვევაში მოსწავლეები:

- ❖ პასუხისმგებლობას იღებენ დასწავლის პროცესზე და სწავლობენ დამოუკიდებლად სწავლას;
- ❖ თავიანთი წვლილი შეაქვთ სწავლების პროცესში ჰიპოთეზების ჩამოყალიბების, ცდისა და დასკვნების საშუალებით;
- ❖ ეჩვევიან საკუთარი მიღწევების, სწავლის შედეგების შეფასებას, მიზნების დასახვასა და ისეთი სტრატეგიების დამოუკიდებლად გამოყენებას, რომლებიც დაეხმარება მათ პრობლემის გადაჭრაში და ახალი მასალის უკეთ გაგებაში.

გამოცდების ეროვნული ცენტრის კვლევის დეპარტამენტი

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით, სტუდენტთა მობილობის პროცედურა გამარტივდა და 2012 წლის გაზაფხულის სემესტრის სტუდენტთა მობილობის ვადა 3 თებერვლიდან 15 თებერვლის ჩათვლით განისაზღვრა.

ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის მსურველმა სტუდენტებმა თავიანთი არჩევანი ელექტრონულ პორტალზე უნდა დააფიქსირონ, რომელიც 3 თებერვლიდან 15 თებერვლის ჩათვლით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე – www.eqe.ge ამოქმედდება.

სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ტექნიკურად დახვეწა ელექტრონული პორტალის მუშაობა, გაამარტივა რეგისტრაციის პროცესი და შედეგად, 2012 წლის მობილობა სტუდენტებისთვის მაქსიმალურად კომფორტული იქნება.

ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაცია შესაძლებელია პირადი თერთმეტნიშნა ნომრით, რომლის საშუალებითაც სტუდენტი მომხმარებლის სახელსა და პაროლს დააფიქსირებს, შექმნის შესაბამის პროფილს. არჩევანის რეგისტრაციისათვის მას შეუძლია სასურველი ფაკულტეტები/პროგრამები მონიშნოს.

მობილობის მსურველს უფლება აქვს, პრიორიტეტების გათვალისწინებით, მაქსიმუმ 5 ფაკულტეტი ან პროგრამა აირჩიოს. შეცდომის დაშვების შემთხვევაში, არჩევანის შესაცვლელად აღარ იქნება საჭირო გაუქმების კოდი. ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის გავლის შემდეგ, სტუდენტებს შეუზღუდავი რაოდენობით შეეძლებათ შეცვალონ ფაკულტეტები ან პროგრამები.

მობილობის მსურველ სტუდენტს, სახელმწიფო სასწავლო გრანტი და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი მიმღებ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადაყვება მხოლოდ აკრედიტებულ პროგრამაზე გადასვლის შემთხვევაში.

მობილობის შესახებ სრული ინფორმაციის მოსაპოვებლად იხილეთ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდი – www.eqe.ge

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი

აცხადებს ღია კონკურსს აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად

სამართლის ფაკულტეტზე

კერძო სამართლის კათედრაზე:

1. სრული პროფესორი;
2. ასოცირებული პროფესორი.

საბუთების მიღება იწარმოებს
2012 წლის 19 მარტიდან 2012 წლის 3 აპრილის ჩათვლით,
ყოველდღიურად, შაბათ-კვირის გარდა,
10 საათიდან 16 საათამდე.

კონკურსი ჩატარდება 2012 წლის 7 მაისს.
კონკურსი დასრულდება და საბოლოო შედეგები
გამოქვეყნდება 2012 წლის 11 მაისს.

დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ
უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.gttu.edu.ge ან
დაგვიკავშირდეთ შემდეგ ნომრებზე: 2 66 15 12; 2 24 65 91

სიახლე!



ილია ჭავჭავაძე, ორტომეული

ორტომეულის ფასი 16 ლარი



საქართველოს ისტორიული ატლასი

ერთი ცალის ფასი 5,70 ლარი

კლასიკური პოეზია

ელფის გამომცემლობამ დაიწყო ახალი სერიის, კლასიკური პოეზიის გამოცემა. სერიის ფარგლებში იბეჭდება მსოფლიო კლასიკოს პოეტთა რჩეული ლექსები. ამ ეტაპზე გამოვიდა სამი წიგნი. პირველ წიგნში მკითხველი გაეცნობა გალაკტიონ ტაბიძის, ალექსანდრე პუშკინისა და ტერენტი გრანელის რჩეულ ლექსებს, მეორეში – ტიციან ტაბიძის, სერგეი ესენინისა და მირზა გელოვანის ლექსებს, ხოლო მესამე წიგნი ლადო ასათიანს, ალექსანდრე ბლოკსა და პაოლო იაშვილს აერთიანებს.

ელფის გამომცემლობა შეეცადა ამით მკითხველისთვის ეჩვენებინა, ქართველ და მსოფლიო კლასიკოს პოეტთა სულიერი და კულტურული ურთიერთობა, რისი დამადასტურებელიცაა ამ წიგნებში შესული ლექსები.

სამი ტომის ფასი 21 ლარი



www.elf.ge

ელფის გამომცემლობა

თემატური პლაკატები დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. ძართული ანბანი
2. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
3. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
4. ფერები
5. ფორმები
6. გარეული ცხოველები
7. გარეული ფრინველები
8. პროფესიები
9. რიცხვები
10. ხილ-ბოსტნეული
11. შინაური ცხოველები
12. ტანსაცმელი
13. ჰიგიენის ნივთები
14. საოჯახო ნივთები
15. ტრანსპორტი
16. წყლის ბინადრები
17. ინგლისური ანბანი
18. რუსული ანბანი
19. ჩემი საქართველო

ერთი ცალის ფასი 2.5 ლარი

თემატური პლაკატები მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ძართული ხალხური საკრავები
6. ძვეწარმავლები საქართველოში
7. საქართველოს მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
11. ძველი რომი
12. მსოფლიოს დროშები
13. ზღვის დინებები
14. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
15. სამყაროს წარმოშობა
16. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
17. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ერთი ცალის ფასი 3 ლარი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. მირზა გელოვანი
6. აკაკი ბაძრაძე
7. ვასილ ბარნოვი
8. პაოლო იაშვილი
9. სულხან-საბა ორბელიანი
10. იოსებ გრიშაშვილი
11. პოლიკარპე კაკაბაძე
12. გურამ რჩეულიშვილი
13. იაკობ ხუცესი
14. იოანე საბანისძე
15. დავით გურამიშვილი
16. ბესიკი
17. რევაზ ინანიშვილი
18. ალექსანდრე ჭავჭავაძე
19. აკაკი წერეთელი
20. რუსთაველი
21. ვაჟა-ფშაველა
22. თეიმურაზ I
23. ვახტანგ VI
24. გიორგი მერჩულე
25. გრიგოლ ორბელიანი
26. დავით ალმაშენებელი
27. გურამ ასათიანი

ერთი ცალის ფასი 4 ლარი

რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

1. ცისფერი ბალერინები - დეგა
2. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
3. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
4. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
5. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინი
6. მენინები - ველასკესი
7. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
10. მხატვრის ბაღი - კლოდ მონე
11. უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
12. საძანელა - რენუარი
13. საკვირაო გასეირნება, გრან-ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

ერთი ცალის ფასი 6.5 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 577132283. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

საგანმანათლებლო კერა

საგანმანათლებლო კერების ჩამოყალიბების ისტორია სენაკის რაიონის ტერიტორიაზე

ძველი სენაკი ისტორიულად აღმოსავლეთ სამეგრელოს ერთ-ერთ წამყვან ეკონომიკურ და კულტურულ დაბას წარმოადგენდა. აქ გზაჯვარედინს ქმნიდა არგუეთიდან კლისორისაკენ და ფოთიდან მარტვილისაკენ მიმავალი გზები. ადგილობრივ მკვიდრთა გადმოცემით, ბერებს ეკლესიასთან ახლოს პატარა სახლაკები (ქოხები) და სამარტვილო ოთახები ჰქონდათ, აქვე იყო სტუმართა მოსასვენებელი ქოხები (სულხან-საბას განმარტებით სენაკი პატარა სახლაკს ნიშნავს). მიაჩნიათ, რომ აქედან წარმოიშვა სახელწოდება „სენაკი“.

დაბის ძირი სახელწოდება სწორედ სენაკია, მაგრამ ეპითეტი „ძველი“ მას შემდეგ გაჩნდა, როცა სოფელ თეკლათის ტერიტორიაზე, ახალი ქალაქური სტილის დასახლება, სახელწოდებით „ახალი სენაკი“ აღმოცენდა. ახალი სენაკის ქალაქად ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო ფოთი-თბილისის რკინიგზის გაყვანამ და ამ ტერიტორიაზე რკინიგზის სადგურის აშენებამ.

ძველ სენაკს დიდხანს არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა, მაგრამ ახალი სენაკი უფრო პრივილეგირებული გახდა. რუსულ მმართველობასთან ერთად გადმოვიდა სხვა სამსახურები. 1921 წელს ახალ სენაკს ქალაქის სტატუსი მიენიჭა. დროთა ვითარებაში ხმარებიდან ამოვარდა სიტყვა ახალი და დღეს იწოდება სენაკად.

ძვ. სენაკი XIX საუკუნის მე-2 ნახევრამდე ერთ-ერთ წამყვან დაბას წარმოადგენდა ქვეყნის ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. სწორედ აქ ჩაეყარა საფუძველი საგანმანათლებლო კერებს. აქ გაიხსნა პირველი სასწავლებელი.

XIX საუკუნის 80-იან წლებში მეფის მთავრობამ საქართველოში გააძლიერა რეაქციული საასიმილაციო პოლიტიკა, რაც გამოიხატა არა მარტო ქართული ენის გაძლიერებულ დევნაში, არამედ მთავრობის ცდაში დაერღვია, დაექუცმაცებინა ქართული ენის ეროვნული ორგანიზმი და ამით გაეადვილებინა მისი გადაგვარება. მეფის მოხელეებმა განიზრახეს მეგრელთა გამოთიშვა ქართული ეროვნული ორგანიზმიდან, თითქოს ისინი არაქართულ, სხვა წარმოშობის ხალხს წარმოადგენდნენ, გააძევეს ქართული ენა დაწყებითი სკოლებიდან, ვითომ, როგორც უცხო მეგრელ ბავშვთათვის და შეუდგნენ მეგრული ანბანის შედგენას რუსეთიდან გამოწერილი „ენათმეცნიერების“ – ალ. გრენისა და მთავრობის ადგილობრივი აგენტის, თადა აშორდიას ხელმძღვანელობით. ასეთი მეტად გართულებული და სახიფათო მდგომარეობის წინაშე იდგა ქართველი ერი, კერძოდ, სამეგრელოს მოსახლეობა XIX-ს 70-80-იან წლებში.

1869 წლის რუსეთის იმპერიის დებულების საფუძველზე, განათლების სამინისტროს ოლქის მზრუნველებს უფლება ეძლეოდათ გაეხსნათ ნებისმიერ სოფელში ერთი ან ორკლასიანი სასწავლებელი, თუ სკოლის შენობის ასაგებ, სასკოლო ინვენტარის შესაძენ და მასწავლებელთა ხელფასებისათვის საჭირო თანხას თვით სოფლის მოსახლეობა გაიღებდა.

აკაკი წერეთლისა და ძველ სენაკელთა ინიციატივით, 1874 წელს გაიხსნა ერთკლასიანი სკოლა, სადაც მასწავლებლად დაინიშნა სტეფანე მათეს ძე სანებლიძე, ხოლო მზრუნველად – სამსონ დავითის ძე ქავთარაძე.

სასწავლებელში სწავლება რუსულ ენაზე წარმოებდა. სკოლაში ისწავლებოდა: რუსული ენა, არითმეტიკის 4 მოქმედება, საღვთო სჯული, გალობა და შრომა. იმდროინდელ სამეგრელოში არც ერთი ქართული სკოლა არ ფუნქციონირებდა.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელმძღვანელებმა: ილია ჭავჭავაძემ, იაკობ გოგებაშვილმა, ივანე მაჩაბელმა, ნიკო ცხვედაძემ, იონა მეუნარგიამ აღძრეს შუამდგომლობა სასწავლო უწყების წინაშე, ქუთაისის ქართული სკოლის ოთხი პირველი პარალელური განყოფილება გადაეტანათ ძველ სენაკში. შესაფერ სუფსიდიას ამ სკოლას მისცემდა ქუთაისის საადგილმამულო ბანკი. გამგეობამ ძვ. სენაკის ქართული სკოლის გამგედ მოიწვია სამსონ ყიფიანი, რომელსაც დამთავრებული ჰქონდა თბილისის სასულიერო სემინარია და ქუთაისის ქართულ სკოლაში მუშაობდა.

ძვ. სენაკის სააზნაურო სკოლა გაიხსნა 1884 წლის 25 ოქტომბერს. სკოლის გახსნისადმი მიძღვნილ საზეიმო მიტინგზე დამსწრეთ სიტყვით მიმართეს ქუთაისის სააზნაურო სკოლის ინსპექტორმა ალექსი ჭიჭინაძემ, ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ნიკო დადიანმა (შალვა დადიანის მამამ) და სკოლის ახალდანიშნულმა დირექტორმა სამსონ ყიფიანმა. ისტორიული მოვლენა იყო აკაკი წერეთლის გამოსვლა მიტინგზე, რომელმაც ხაზი გაუსვა სკოლის მნიშვნელობას მეგრელ ბავშვთათვის. ორატორების სიტყვებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს მოსახლეობაზე და იქვე 500 მანეთზე მეტი შეაგროვეს, რამაც მნიშვნელოვნად განამტკიცა სკოლის სასწავლო მატერიალური ბაზა.

პირველად სკოლას არ ჰქონდა საკუთარი შენობა, რაც ხელს უშლიდა ნორმალურ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას. სამსონ ყიფიანის დაუზარელი საქმიანობით და მოსახლეობის ფინანსური მხარდაჭერით, ერთ წელიწადში, აშენდა ორსართულიანი აგურის კაპიტალური შენობა, რომელიც ჩაიბარა წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, რომლის ხელმძღვანელი იყო დიმიტრი ყიფიანი.

პირველ რიგში (მარცხნიდან მარჯვნივ) მოწაფეები: გ. ჭუბაბრია, მ. მხეიძე, ი. მხეიძე, პ. ქავთარაძე, ყ. ფალავა, შ. დადიანი. მეორე რიგში: მასწავლებლები: ს. ხუნდაძე, ს. რობაქიძე, ნ. ხელთუფლიშვილი, ი. ოცხელი, აბესაძე, ა. გარსევანიშვილი; დგანან მასწავლებლები: დ. ლორთქიფანიძე, მ. ჩინჩალაძე, ი. ნიკოლეიშვილი.

1885 წლიდან ძვ. სენაკის სკოლის ინსპექტორ-გამგეები იყვნენ: სამსონ ყიფიანი, 1889 წლიდან – არსენ სიმონის ძე წითლიძე, 1907 წლიდან – დომენტი ოყრეშიძე, 1912 წლიდან 1919 წლამდე – პოლიკარპე ლორთქიფანიძე. მასწავლებლები: იასონ ნიკოლაიშვილი, ნიკოლოზ სიმონის ძე ჯანაშია, ივანე გომელაური, გიორგი ბოკერია, ანდრო შუბლაძე და სხვები.

ამ სკოლაში სწავლობდნენ აკადემიკოსები: კონსტანტინე გამსახურდია, სიმონ ჯანაშია, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია, პეტრე ქავთარაძე; პროფესორები: ი. ბჟალავა, ვ. ნორაკიძე, ვლ. გაგუა.

1933 წლიდან სკოლა გადაკეთდა ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლად.

მოვლენების შესაბამისად იცვლიდა სახეს ახალი სენაკი. 1867 წელს, სამეგრელოს ქუთაისის გუბერნიასთან შეერთების შემდეგ, ახალი სენაკი სამაზრო ცენტრი გახდა და ამით უფრო გაიზარდა მისი მნიშვნელობა. 1881-82 წლებში, მარტვილიდან ახალსენაკში გადმოტანილ იქნა სასულიერო სასწავლებელი. ვიდრე ახალ შენობას შეიძენდნენ, სასწავლებელი 3 სხვადასხვა ბინაში მოუთავსებიათ. ცოტა უფრო გვიან გაიხსნა ორკლასიანი ნორმალური სასწავლებელი.

ასე ნაბიჯ-ნაბიჯ, ერის გულშემატკივართა თაოსნობით, ჩნდებოდა სასწავლებლები სენაკის რაიონის ტერიტორიაზე, სადაც დღეისათვის ძველი სენაკის საჯარო სკოლა ფუნქციონირებს.

გრიალა ანთია

ყიუული შარტავას სახელობის სენაკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდის მცველი

ინფორმაცია

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი გუდაურში მასმედიის წარმომადგენლებს შეხვდა და მათ განხორციელებული სიახლეები და ახალი სამოქმედო გეგმა გააცნო.

სემინარზე წარმოდგენილი პრეზენტაცია განათლების ყველა სფეროს მოიცავდა. მინისტრმა განსაკუთრებული აქცენტი რამდენიმე მნიშვნელოვან სიახლეზე გააკეთა, კერძოდ, მომავალი წლისთვის VII-XII კლასებში ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა ამოქმედდება და ამ კლასებისთვის ახალი სახელმძღვანელოები შეიქმნება, რომელთა ფასი 10 ლარს არ აღემატება; სკოლებში საინფორმაციო ტექნოლოგიების, ზუსტი და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლება გაძლიერდება; ასი ახალი „მომავლის კლასი“ გაიხსნება, სკოლები „ჭკვიანი დაფებით“ აღიჭურვება; პროგრამა „აინშტაინის“ ფარგლებში სკოლებში ახალი ლაბორატორიები გაიხსნება.

გაძლიერდება ინგლისური ენის სწავლება და პროექტის „ისწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ ფარგლებში, 1500 ინგლისურენოვანი მასწავლებელი ჩამოვა; ადგილობრივი 300 ინგლისური ენის მცოდნე მოხალისე ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და სხვა მაღალმთიანი რეგიონის სკოლებში ინგლისური ენის მასწავლებლად იმუშავებს; გაიზრდება ეთნიკური უმცირესობებისათვის განათლების ხელმისაწვდომობა და გაგრძელდება პროექტი „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“.

გადამზადდებიან პედაგოგები; გაგრძელდება პედაგოგთა ხელფასების ზრდა; გაფართოვდება მანდატურის სამსახური და წელს სკოლის მანდატურის საერთაშორისო ასოციაციის წევრი გახდება; გაგრძელდება ინკლუზიური განათლების განვითარება; საკვირაო და კერძო სკოლების ხელშეწყობა.

მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სამაგისტრო პროგრამების დაფინანსება გაგრძელდება, ამოქმედდება სტუდენტური დასაქმების პროგრამა, რომელიც საზაფხულო არდადეგებზე 25 000 სტუდენტის საზაფხულო სამუშაოებზე დასაქმებას გულისხმობს.

2012 წლის ბიუჯეტში, სასკოლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის, 40 მილიონი ლარია გათვალისწინებული, აშენდება 20 ახალი სკოლა; სკოლებს გადაეცემათ: 100 000 ახალი მერხი; 5000 ახალი დაფა და 25 000 კომპიუტერი.

2012 წლისთვის აშენდება: მასწავლებლის სახლები ქუთაისში, ბათუმსა და ზუგდიდში, 3 ახალი პროფესიული სასწავლებელი (თბილისი, ოზურგეთი, ქობულეთი), 2 ახალი საინფორმაციო ცენტრი (თელავი, ზუგდიდი), სონის პროფესიული კოლეჯი, ტექნოლოგიური უნივერსიტეტი ბათუმში, მოხდება ხელნაწერთა ინსტიტუტის რეაბილიტაცია.

გაგრძელდება პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა, მეცნიერების განვითარება და პოპულარიზაცია. სამეცნიერო კვლევებისთვის მომავალი წლის ბიუჯეტში 37 მილიონი ლარია გათვალისწინებული.

ეს არის არასრული ჩამონათვალი სამომავლოდ დაგეგმილი სიახლეებისა, რომელთან დაკავშირებითაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა მასმედიის წარმომადგენელთა შეკითხვებსაც უპასუხა.

გამოცდების
ეროვნული ცენტრი

გამოცდებისათვის ინტერნეტით რეგისტრაციის შესახებ ინფორმაცია

2012 წელს ერთიანი ეროვნული, საერთო სამაგისტრო, სტუდენტთა საგრანტო და მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის, ასევე ინგლისურისა და კომპიუტერის და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერიმენტული ნაწილისათვის რეგისტრაციას აპლიკანტები მხოლოდ ინტერნეტით, გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე გაივლიან (www.naec.ge; online.naec.ge);

აბიტურიენტთა, მაგისტრანტობის კანდიდატთა და სტუდენტთა საგრანტო კონკურსში მონაწილეთა რეგისტრაცია იწარმოებს 6 თებერვლიდან 23 მარტის ჩათვლით.

მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის, ასევე ინგლისურისა და კომპიუტერის და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერიმენტული ნაწილისათვის რეგისტრაცია იწარმოებს 13 თებერვლიდან 23 მარტის ჩათვლით.

ინტერნეტით რეგისტრაციისათვის აპლიკანტს უნდა ჰქონდეს პირადობის (ბინადრობის) მოწმობა/პასპორტი, აგრეთვე მან უნდა გადაიხადოს გამოცდებში მონაწილეობის საფასური.

გადახდის შესაძლო საშუალებები და ტარიფები:

1) „საქართველოს ბანკის“ სერვის ცენტრები – 0,5 ლარი;
2) ვებგვერდზე ipay.ge – 1 ლარი;
3) „აიფეის“ აგენტების ქსელში (საჯარო რეესტრის სააგენტოებში) – 0.5 ლარი;
4) „საქართველოს ბანკის“ თვითმომსახურების ტერმინალით –1 ლარი;
5) „საქართველოს ბანკის“ ინტერნეტ ბანკინგის საშუალებით – ibank.ge – 1 ლარი.
6) გადახდის დანიშნულებაში უნდა ჩაიწეროს აპლიკანტის გვარი, სახელი, პირადი ნომერი, პირადობის მოწმობის (ან პასპორტის) სერია და ნომერი. საფასურის გადახდა შეუძლია როგორც აპლიკანტს, ისე სხვა პირს, რომელიც გადახდისას მიუთითებს აპლიკანტის შესაბამის მონაცემებს.

❖ აბიტურიენტთათვის ერთი გამოცდის ჩაბარების საფასურია 10 ლარი;
❖ სტუდენტთა საგრანტო კონკურსში მონაწილეობის საფასურია 10 ლარი;
❖ მოქმედი პედაგოგები, რომლებიც პირველად მონაწილეობენ სასერტიფიკაციო გამოცდებში, ასევე სერტიფიცირებული პედაგოგები, რომლებიც ინგლისურისა და კომპიუტერის გამოცდის ან საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერიმენტული ნაწილის ჩასაბარებლად პირველად რეგისტრირდებიან, არ იხდიან გამოცდის ჩაბარების საფასურს;
❖ პედაგოგებისათვის, რომლებმაც ერთხელ უკვე მიიღეს მონაწილეობა სასერტიფიკაციო გამოცდებში და ვერ გადალახეს ზღვარი, ასევე მასწავლებლობის მსურველთათვის ერთი გამოცდის ჩაბარების საფასურია 25 ლარი;
❖ პედაგოგებისათვის/მასწავლებლობის მსურველთათვის, რომელთაც გადალახეს ზღვარი კონკრეტულ გამოცდაში, მაგრამ სურთ მიღებული შედეგის გაუმჯობესება, ასევე იმ პედაგოგებისათვის, რომლებმაც ვერ გადალახეს ზღვარი ინგლისურისა და კომპიუტერის გამოცდაში, ერთი გამოცდის ჩაბარების საფასურია 50 ლარი;
❖ მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების საფასურია 50 ლარი.

ინტერნეტით რეგისტრაცია

1. აპლიკანტს უნდა ჰქონდეს (ან უნდა შექმნას) ელექტრონული ფოსტის მისამართი.

2. ინტერნეტით რეგისტრაციას აპლიკანტი გადის ვებგვერდზე www.naec.ge ან online.naec.ge.

3. მითითებულ მისამართზე შესვლის შემდეგ აპლიკანტი მონიშნავს მოქალაქეობის გარაფას და სპეციალურ ველში უთითებს 11-ნიშნა პირად ნომერს, ელექტრონულ ფოსტას (რომელზეც შემდეგ მიიღებს პაროლს), ჩამონათვალიდან კი ირჩევს შესაბამისს, მაგალითად: „ერთიანი ეროვნული გამოცდები“.



4. სისტემა, 11-ნიშნა ნომრის შეყვანის შემდეგ, თავად სვამს აპლიკანტის სახელს, გვარს და მისამართს შესაბამის ველებში (თუ ასეთი პირადი ნომრის მქონე პიროვნება არ მოიძებნა რეესტრის ბაზაში, სისტემა აცნობებს მას ამის შესახებ).

5. სისტემა ავტომატურად ამოწმებს ინფორმაციას გადახდის შესახებ (თუ გადახდა არ დადასტურდა, აპლიკანტი ეკრანზე ხედავს შესაბამის შეტყობინებას).

6. აპლიკანტმა უნდა შეავსოს აუცილებელი ველები (მაგ.: მიუთითოს ტელეფონი, აირჩიოს გამოცდის ენა ჩამონათვალიდან და ა.შ.).

გაითვალისწინეთ: დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს არ ესაჭიროებათ სკოლის მითითება.

7. აუცილებელი ველების შევსების შემდეგ აპლიკანტმა უნდა მონიშნოს შესაბამისი გამოცდები – იმდენი, რამდენი გამოცდის ჩაბარების საფასურიც აქვს გადახდილი (სისტემა არ ამოწმებს შემოქმედებითი ტურის საფასურის გადახდას. აბიტურიენტები, რომლებიც აბარებენ შემოქმედებით ტურს, ირჩევენ ტურს გამოცდების ჩამონათვალიდან, საფასურს კი იხდიან უმაღლესი სასწავლებლის მიერ მითითებულ ვადებში შესაბამის რეკვიზიტებზე, მაგ.: თუ აბიტურიენტმა გადაიხადა 50 ლარი, მას შეუძლია აირჩიოს 5 გამოცდა და შემოქმედებითი ტური).

8-10 პუნქტები ეხება მხოლოდ აბიტურიენტებს

8. გამოცდების მონიშვნის შემდეგ აბიტურიენტმა უნდა შეადგინოს რეიტინგული ჩამონათვალი (ჯერ საგანმანათლებლო პროგრამების მითითება და შემდეგ გამოცდების არჩევა შეუძლებელია). 2012 წელს აბიტურიენტს შეუძლია 20 საგანმანათლებლო პროგრამის მითითება.



9. რეიტინგული ჩამონათვალის შედგენისას აბიტურიენტი უთითებს მხოლოდ პროგრამის კოდს და უმაღლეს სასწავლებელს, პროგრამის დასახელებას კი სისტემა თავად ჩაწერს შესაბამის ველებში.

10. თუ თქვენი არჩევანი არ აკმაყოფილებს საგანმანათლებლო პროგრამების მიერ დაწესებულ მოთხოვნებს, ეკრანზე დაინახავთ შესაბამის შეტყობინებას:



11. გაითვალისწინეთ: თუ გამოცდების ან საგანმანათლებლო პროგრამების არჩევის ან რაიმე სახის ცვლილების განხორციელების შემდეგ არ დააჭერთ ღილაკს „შენახვა“ ინფორმაცია არ აისახება სისტემაში!

12. აუცილებელი ველების შევსების შემდეგ აპლიკანტი ელექტრონული ფოსტით მიიღებს შეტყობინებას, რომ მისი პირადი მონაცემები რეგისტრირებულია, ასევე პაროლს. გამოცდების (ან საგანმანათლებლო პროგრამების) მითითების შემდეგ ასევე ელექტრონული ფორმით იღებთ ინფორმაციას თქვენი არჩევანის შესახებ (ასეთი სახის შეტყობინებას მიიღებთ სისტემაში განხორციელებული ყოველი ცვლილების შემდეგ).

13. აპლიკანტს არ სჭირდება ფოტოსურათის გადაღება და ატვირთვა – საგამოცდო ბარათის დამზადებისას სისტემა სამოქალაქო რეესტრის ბაზაში არსებულ ფოტოს გამოიყენებს.

აპლიკანტს შეუძლია არაერთხელ შეცვალოს საკუთარი არჩევანი რეგისტრაციის ვადის ამოწურვამდე – იგი თავისი პირადი ნომრისა და პაროლის მითითებით შედის საკუთარ გვერდზე და შეაქვს სასურველი ცვლილებები. ცვლილებების დადასტურებას მიიღებს ელექტრონული ფოსტითაც.

რეგისტრაციის ვადის ამოწურვის შემდეგ (23 მარტი) აპლიკანტი განაცხადს ველარ შეცვლის!

გაითვალისწინეთ:

❖ არ გაანდოთ სხვას ელექტრონული ფოსტით მიღებული პაროლი. მხოლოდ თქვენ ხართ პასუხისმგებელი სარეგისტრაციო ანკეტაში მითითებული მონაცემების სისწორესა და შემდგომ მასში განხორციელებულ ცვლილებებზე;

❖ შეეცადეთ ხშირად გადაამოწმოთ თქვენი მონაცემები და დროულად გაეცნოთ ელექტრონული ფოსტით მიღებულ შეტყობინებებს!

გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი: 220 62 32
ვებგვერდი: www.naec.ge

გისურვებთ წარმატებას!

სასერტიფიკაციო გამოცდები

ბიოლოგიის პედაგოგთა დასახმარებლად

სასერტიფიკაციო გამოცდაზე შემოთავაზებულია გენეტიკური ამოცანა და ორი მოსწავლის ნამუშევარი, რომლებმაც აღნიშნული ამოცანა შეასრულეს.

პედაგოგს ევალება ნამუშევრების გასწორება და შეფასება. წარმოდგენილი დავალება საკმაოდ მაღალი ქულით ფასდება.

გთავაზობთ გენეტიკური ამოცანების ამოხსნის ძირითად პრინციპებს. იმისათვის, რომ დავალება წარმატებით შესრულდეს, პედაგოგმა ჯერ თვითონ უნდა ამოხსნას ამოცანა და შემდეგ შეადაროს მოსწავლეთა ნამუშევრებს – გენეტიკური ამოცანის ამოსახსნელად საჭიროა ყურადღებით წავიკითხოთ პირობა ან დავაკვირდეთ ნახატს. სასურველია მოკლე ჩანაწერის გაკეთება. შემდეგ ჩავინიშნოთ მშობლიური ფორმების გენოტიპები (ზოგჯერ მშობლების გენოტიპების დადგენა ხდება შთამომავლობის გენოტიპების დადგენის შემდეგ. ამ შემთხვევაში, მოკლე ჩანაწერში მშობლების ფენოტიპები ჩაიწერება). დიჰიბრიდული შეჯვარების შემთხვევაში, სასურველია პენეტის ცხრილის შედგენა, რაც თავიდან აგვარიდებს მექანიკურ შეცდომებს, აგრეთვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ რეცესიული ნიშნის ფენოტიპური გამოვლინებისას ინდივიდი, ამ ნიშნის მიხედვით, ჰომოზიგოტურია (მაგ. aa), ხოლო დომინანტური ნიშნის ფენოტიპის შესაბამისი შესაძლოა იყოს ჰომოზიგოტური (მაგ. AA) ან ჰეტეროზიგოტური (Aa).

ამოცანა №1

თეთრ და ყვითელნაყოფიანი გოგრების შეჯვარების შედეგად პირველ თაობაში ყველა მცენარეს თეთრი შეფერილობის ნაყოფი ჰქონდა. მიღებული მცენარეების შეჯვარებით მოხდა დათიშვა და მიიღეს: 181 – თეთრნაყოფიანი გოგრა, 49 – ყვითელნაყოფიანი, 15 – მწვანენაყოფიანი. განსაზღვრეთ მშობლიური ფორმების პირველი (F1) და მეორე (F2) თაობების გენოტიპები. დამემკვიდრების როგორ ტიპს აქვს ადგილი?

ამოხსნა:

ჩავწეროთ შეჯვარების სქემა:

P: თეთრნაყოფიანი x ყვითელნაყოფიანი.

F1 – თეთრნაყოფიანი.

F2: 181 – თეთრნაყოფიანი

49 – ყვითელნაყოფიანი

15 – მწვანენაყოფიანი.

დათიშვა 181:49:15 დაახლოებით 12:3:1 შეფარდებას შეესაბამება, რაც არაალელურ გენთა ურთიერთქმედებაზე, კერძოდ – ეპისტაზურ ურთიერთქმედებაზე მიგვანიშნებს (ეპისტაზის დროს ერთი დომინანტური გენი (მაგ. A) დომინირებს მეორე არაალელურ (მაგ.B) გენზე).

აქედან გამომდინარე, ნაყოფის თეთრი შეფერილობა ვლინდება A დომინანტური გენის არსებობისას, ასევე A და B გენების წყვილის არსებობისას გენოტიპში. ყვითელ შეფერილობას B გენი განაპირობებს. მწვანე ფერის ნაყოფის მქონე მცენარეების გენოტიპი კი იქნება aabb შემთხვევაში.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვასკვნით, რომ ყვითელი ნაყოფის მქონე მშობლიური ფორმის მცენარის გენოტიპია aaBB, ხოლო თეთრნაყოფიანის – AAbb. მათი შეჯვარების შედეგად მიიღება AaBb გენოტიპის მქონე თეთრნაყოფიანი ინდივიდები.

F1 თაობის მცენარეების შეჯვარებით მიიღება F2 თაობა.



შევადგინოთ პენეტის ცხრილი:

F2

♂\♀	AB	Ab	aB	ab
AB	AABB	AABb	AaBB	AaBb
Ab	AABb	AAbb	AaBb	Aabb
aB	AaBB	AaBb	aaBB	aaBb
ab	AaBb	Aabb	aaBb	aabb

ცხრილის ანალიზის შედეგად ვასკვნით, რომ F2 თაობაში მიიღება:

9 თეთრნაყოფიანი გოგრა – გენოტიპები: AaBb, AABB, AABb, AaBB.

3 თეთრნაყოფიანი გოგრა – გენოტიპები: Aabb, AAbb.

3 ყვითელნაყოფიანი გოგრა – გენოტიპები: aaBb, aaBB.

1 მწვანენაყოფიანი გოგრა – გენოტიპი: aabb.

ფენოტიპური დათიშვა – 12:3:1.

ამოცანა №2

სამშობიარო სახლში ორი ახალშობილი ვაჟი ერთმანეთში აერიათ. ერთ-ერთ ბავშვს აღმოაჩნდა I ჯგუფის სისხლი, მეორეს – IV ჯგუფის სისხლი.

მშობელთა ერთ წყვილს I და III ჯგუფის სისხლი აქვთ, მეორე წყვილს – II და III. დაეხმარეთ მშობლებს საკუთარი შვილების ამოცნობაში.

ამოხსნა

ადამიანში სისხლის ჯგუფებს J გენის სამი ალელი განსაზღვრავს: J^0, J^A, J^B. კონკრეტულ ინდივიდს აქვს ორი მათგანი. პირველ ჯგუფს განსაზღვრავს J^0J^0 გენოტიპი, მეორეს – J^0J^A ან J^AJ^A გენოტიპები, მესამეს – J^0J^B ან J^BJ^B გენოტიპები, ხოლო მეოთხეს – J^AJ^B გენოტიპი.

აქედან გამომდინარე ვასკვნით, რომ I ჯგუფის სისხლის მქონე ბავშვის გენოტიპია J^0J^0, ხოლო მეოთხე ჯგუფის სისხლის მქონე ბავშვს J^AJ^B გენოტიპი აქვს.

ჩავინიშნოთ მშობელთა პირველი და მეორე წყვილის შესაძლო გენოტიპები:

I წყვილი

I ჯგ. – J^0J^0

III ჯგ. – J^0J^B ან J^BJ^B

II წყვილი

II ჯგ – J^0J^A ან J^AJ^A

III ჯგ – J^BJ^0 ან J^BJ^B

I ჯგუფის სისხლის მქონე ბავშვი შესაძლოა იყოს როგორც პირველი, ასევე მეორე წყვილის შვილი, რადგანაც მშობლების გენოტიპებში შესაძლოა J^0 გენის არსებობა. მაგრამ მეორე ვაჟი – რომელსაც IV ჯგუფის სისხლი აქვს, აუცილებლად მშობლების მეორე წყვილს ეკუთვნის, რადგანაც მხოლოდ მათ გენოტიპშია გენები (J^A და J^B), რომელთა კომბინაციითაც IV ჯგუფის სისხლის მქონე ბავშვი იბადება.

პასუხი: I ჯგუფის სისხლის მქონე ბავშვი მშობელთა პირველი წყვილის შვილია, ხოლო IV ჯუფის სისხლის მქონე ბავშვი – მეორე წყვილის.

ნატა ბიჭიკაშვილი
ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,
ბაქსუდის საერთაშორისო სკოლა

დაწყებითი კლასების მასწავლებლებისათვის

როგორც უკვე ცნობილია, 2012 წლის სასერტიფიკაციო გამოცდებზე, შარშანდელისაგან განსხვავებით, დაწყებითი კლასების პედაგოგებს საშუალება აქვთ, დაწყებითი კლასების მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდასთან ერთად, ჩააბარონ დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასები) საგნობრივი გამოცდები სამი მიმართულებით:

1. I-VI კლასების მათემატიკის მასწავლებელი;
2. I-VI კლასების ქართულის მასწავლებელი;
3. I-VI კლასების საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებელი.

დაწყებითი კლასების ბევრი კარგი პედაგოგისაგან გამიგია, რომ, გარკვეულწილად, „უფრთხის“ V-VI კლასების მასწავლებლობას. შესაძლოა, დაწყებითი კლასების მასწავლებელს, რომელიც წლების მანძილზე I-IV კლასებში ასწავლის, არ ეყოს თავდაჯერება და ნაკლები „ამბიცია“ ჰქონდეს V-VI კლასების მასწავლებლობაზე, მაგრამ მათი ცოდნა, გამოცდილება, სითბო, მზრუნველობა და განსაკუთრებული ალღო V-VI კლასების მოსწავლეებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია. ყველას შეგვინიშნავს, როგორ უჭირთ მეხუთეკლასელებს თავიანთ მასწავლებელთან განშორება და მასავით ვინმეს შეყვარება. ამიტომ ვფიქრობ, I-IV კლასების გამოცდილმა პედაგოგებმა, რომლებიც კარგად ერკვევიან თავიანთი მოსწავლეების ასაკობრივ თავისებურებებსა და განსაკუთრებულ საჭიროებებში, უნდა მოიპოვონ V-VI კლასებში სასურველი საგნის სწავლების უფლება შესაბამისი სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარებით. მით უფრო, რომ I-VI კლასების საგნობრივი საგამოცდო პროგრამები განსაკუთრებულად და „შემაშფოთებლად“ არ განსხვავდება I-IV კლასების მასწავლებელთა საგამოცდო პროგრამებისაგან.

მინდა „ვისაუბროთ“ I-VI კლასების მათემატიკის მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის პროგრამიდან აღებულ იმ საკითხებზე, რომლებიც არ შედიოდა 2011 წლის საგამოცდო პროგრამაში.

დამატებული საკითხები, მიმართულებათა მიხედვით, შემდეგია:

I. მიმართულება: **რიცხვები და მოქმედებები**

- რიცხვის მოდული (მოდულის ძირითადი თვისებები და მისი გეომეტრიული აზრი);
- ხარისხი (ნამრავლის, ფარდობის და ხარისხის ახარისხება, ტოლფუძიანი ხარისხების ნამრავლი და შეფარდება);

II. მიმართულება: **კანონზომიერება და ალგებრა**

- ოპერაციები სიმრავლეებზე: სიმრავლეთა სხვაობა;
- უტოლობა (წრფივი უტოლობის ამოხსნა, ამოცანათა ამოხსნა უტოლობის გამოყენებით);

III. მიმართულება: **გეომეტრია და სივრცის აღქმა**

- ამოზნექილი მრავალკუთხედი (ამოზნექილი ფიგურის განსაზღვრება. ამოზნექილი მრავალკუთხედის კუთხეების ჯამი);
- გეომეტრიული გარდაქმნები სიბრტყეზე (მოძრაობა, მობრუნება, პარალელური გადატანა);
- სამკუთხედი (სამკუთხედის გარე კუთხის თვისება, სამკუთხედის შუახაზის თვისებები, პითაგორას თეორემა);
- პარალელოგრამი (პარალელოგრამობის ნიშნები);
- ტრაპეცია (ტოლფერდა ტრაპეციის თვისებები);
- ბრტყელი ფიგურის ფართობი (პარალელოგრამის, რომბის და ტრაპეციის ფართობის გამოთვლა);
- წრეწირი და წრე (სეგმენტი, მხები);

IV. მიმართულება: **მონაცემთა ანალიზი, ალბათობა და სტატისტიკა**

- მონაცემთა მედიანა, მოდა, სიხშირე.

მაგალითისათვის განვიხილოთ მოდული და მასთან დაკავშირებული შეკითხვები:

რას ნიშნავს ცნება „რიცხვის მოდული“?

რა ძირითადი თვისებები აქვს მოდულს და რაში მდგომარეობს მოდულის გეომეტრიული აზრი?

ცნობილია, რომ ნებისმიერ ნამდვილ რიცხვს რიცხვით წრფეზე გარკვეული წერტილი შეესაბამება და პირიქით, ყოველ წერტილს რიცხვით წრფეზე გარკვეული ნამდვილი რიცხვი შეესაბამება. ეს რიცხვი განსაზღვრავს მოცემული წერტილის მდებარეობას რიცხვით ღერძზე.

რიცხვის მოდული ეწოდება მანძილს რიცხვით წრფეზე ამ რიცხვის შესაბამისი წერტილიდან სათავემდე.

რაიმე a რიცხვის მოდული ასე ჩაიწერება: $|a|$



ცხადია, **დადებითი რიცხვის მოდული თვით ამ რიცხვის ტოლია, 0-ის მოდული 0-ია, ხოლო უარყოფითი რიცხვის მოდული მისი მოპირდაპირე რიცხვია.**

$|5|=5$, $|0|=0$, $|-5|=5$

/რადგან მოპირდაპირე რიცხვები 5 და –5 ერთი და იმავე, 5 ერთეულის ტოლი მანძილით არიან დაშორებული სათავიდან, ანუ ნულოვანი წერტილიდან, ხოლო 0 თვითონ სათავეა./ ე.ი. მოპირდაპირე რიცხვების მოდულები ერთმანეთის ტოლია. $|-a|=|a|$

ის ფაქტი, რომ რიცხვის მოდული არის მანძილი რიცხვით წრფეზე ამ რიცხვის შესაბამისი წერტილიდან სათავემდე, წარმოადგენს რიცხვის მოდულის გეომეტრიულ აზრს.

მოდულის განმარტება ფორმულით, ანუ ალგებრულად ასეც შეიძლება

$|a|=a$, თუ $a\geq 0$

$|a|=-a$, თუ $a<0$.

სადაც a და $-a$ ერთმანეთის მოპირდაპირე რიცხვებია (მხოლოდ ნიშნით განსხვავდებიან). აღსანიშნავია <u>**მოდულის თვისებები**</u>:

1) **ჯამის მოდული შესაკრებთა მოდულების ჯამს არ აღემატება** /ე.ი. ნაკლებია ან ტოლი/;

$|a+b|\leq|a|+|b|$

2) **სხვაობის მოდული საკლებისა და მაკლების მოდულების სხვაობის მოდულზე მეტი არ არის** /ე.ი. ნაკლებია ან ტოლი/;

$|a-b|\leq|a|-|b|$

3) **ნამრავლის მოდული თანამამრავლთა მოდულების ნამრავლის ტოლია;**

$|a\cdot b|=|a|\cdot|b|$

4) **განაყოფის მოდული გასაყოფისა და გამყოფის მოდულების განაყოფის ტოლია.**

$a/b=|a|/|b|$

მოდულის ცნების გამოყენებით განიმარტება და გამოიანგარიშება ორ წერტილს შორის მანძილი რიცხვით წრფეზე, როცა მოცემულია ამ წერტილთა კოორდინატები: **ორ A(a) და B(b) წერტილს შორის მანძილი ეწოდება მათი კოორდინატების სხვაობის მოდულს**.

ე. ი. $AB=|a-b|$ სადაც a და b, შესაბამისად, **A** და **B** წერტილების კოორდინატებია.

მაგალითად, **A(-5)** და **B(2)** წერტილთა შორის მანძილია $|-5-2|=|-7|=7$.

→ 7

სასერტიფიკაციო გამოცდები

მოდულთან დაკავშირებით შეიძლება განვიხილოთ სხვადასხვა სახის შეკითხვები და ამოცანები:

1) ცნობილია, რომ **|a|=|b|**, შეიძლება თუ არა ითქვას, **a=b**?

2) რისი ტოლია **|a-5|+|a+4|** თუ **a∈[-4; 5]** ?

3) რამდენი მთელი რიცხვია, რომლის მოდულიც აკმაყოფილებს პირობას: ა) |a|≤3.1; ბ) |a|≤0; გ) |a|<0; დ) |a|≤5.

4) ცნობილია, რომ **a+b>0** და **a**-b<0. შეადარეთ ერთმანეთს: ა) **a** და 0; ბ) b და 0; გ) |a| და |b|;

5) შეადარეთ 0-ს **a**+b, თუ: 1) |a|+|b|=0; 2) |a|+|b|=**a**+b; 3) |ab|=-**a**b;

საკონტროლო ტესტი:

1. რიცხვის მოდული ყოველთვის არაუარყოფითია, იმიტომ, რომ:
ა) ყველა არაუარყოფითი რიცხვი დადებითია
ბ) უარყოფითი რიცხვი არ არსებობს
გ) მოდული მანძილს აღნიშნავს
დ) უარყოფითი რიცხვის მოდულის პოვნა შეუძლებელია

2. -⅖-ის მოდული არის
ა) -⅖ ბ) ⅖ გ) -⅔ დ) ⅔

3. 0-ის მოდული
ა) არის 0; ბ) არ განიმარტება; გ) დადებითი რიცხვია; დ) ნებისმიერი რიცხვია

4. უარყოფითი რიცხვის მოდული
ა) უარყოფითი რიცხვია
ბ) ამ რიცხვის მოპირდაპირე რიცხვია
გ) არ განიმარტება
დ) თვითონ ამ რიცხვის ტოლია

5. დადებითი რიცხვის მოდული
ა) უარყოფითი რიცხვია
ბ) ამ რიცხვის მოპირდაპირე რიცხვია
გ) არ განიმარტება
დ) თვითონ ამ რიცხვის ტოლია

6. ნებისმიერი ნამდვილი a და b რიცხვებისათვის სწორია ჩანაწერი
ა) |a+b|=|a|+|b| ბ) |a+b|≥|a|+|B| გ) |a+b|<|a|+|b| დ) |a+b|≤|a|+|b|

7. ნებისმიერი ნამდვილი a და b რიცხვებისათვის სწორია ჩანაწერი
ა) |a·b|=|a|·|b| ბ) |a·b|≤|a|·|b| გ) |a·b|<|a|·|b| დ) |a·b|>|a|·|b|

8. რიცხვით წრფეზე მიუთითეთ წერტილი ან წერტილები, რომელთა კოორდინატები აკმაყოფილებენ პირობას |x|≤3
ა) მხოლოდ ის წერტილები, რომელთა კოორდინატებია -3 და 3
ბ) ის წერტილები, რომელთა კოორდინატებია 3-ზე ნაკლები რიცხვები
გ) ის წერტილები, რომელთა კოორდინატები 3-ზე ნაკლებია ან 3-ის ტოლია
დ) ის წერტილები, რომელთა კოორდინატები -3-დან 3-მდეა (-3-ის და 3-ის ჩათვლით).

9. რიცხვით წრფეზე მიუთითეთ წერტილი ან წერტილები, რომელთა კოორდინატები აკმაყოფილებენ პირობას |x|=3



10. გამოთვალეთ: | |125-135|-|-10|:|2|+(-15)|
ა) -10 ბ) 10 გ) 0 დ) 20

ტესტების პასუხების ცხრილი

შეკითხვის №	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
სწორი პასუხი	გ	ბ	ა	ბ	დ	დ	ა	დ	დ	ბ

წარმატებებს გისურვებთ!

ლალი გველესიანი
ამბროლაურის №2 საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი, დაწყებითი კლასების მასწავლებელთა სახელმძღვანელოს თანაავტორი

ინფორმაცია

ჩვენი თვალით დანახული უბანი

თბილისის სამასი არაგველის სახელობის 75-ე საჯარო სკოლაში მესამეკლასელებმა ჩაატარეს შერკინება-კონკურსი – „ჩვენი უბნის წარსული და ისტორიული ძეგლები“ (მასწავლებელი – **მარინა ჯელაძე**). ყოველწლიურად, კრწანისში დაღუპულ მებრძოლთა სახელის უკვდავსაყოფად ტარდება „კრწანისობა“ და სწორედ ამ ღონისძიებამ მესამე კლასის მოსწავლეებს გაუჩინა იდეა, შეესწავლათ უბნის ისტორია.

ამ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მოსწავლეებმა მართლაც დიდი შრომა გასწიეს – წაიკითხეს უამრავი ლიტერატურა, რომელიც მე მივუთითე. ამას დიდი სიამოვნებითა და მონდომებით აკეთებდნენ, ზღვა მასალა მოიძიეს. ამ ღონისძიებას ორმაგი დატვირთვა ჰქონდა – ერთი, რომ მათ შეისწავლეს ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაკვეთი, ასევე, „ხარფუხის უბანი“ და მეორე – სამასი არაგველის ისტორია და გმირობა, რადგანაც ჩვენი სკოლა მათი სახელობისაა.

ეს კონკურსი-ვიქტორინა მართლაც სასარგებლო და ბევრის მომცემი აღმოჩნდა თითოეული მოსწავლისათვის, რადგან არც აწმყო და არც მომავალი არაფრის მომცემია, თუ წარსული არ გვეცოდინება.

ღონისძიება დაყოფილი იყო ექვს ეტაპად. პრეზენტაციაზე გუნდები – „სეიდაბადი“, „ხარფუხი“, „ორთაჭალა“– ერთმანეთს თავიანთი ისტორიის ცოდნაში შეეჯიბრნენ და საინტერესოდაც ისაუბრეს იმის შესახებ, თუ რატომ შეურჩიეს საკუთარ გუნდებს ასეთი სახელწოდებები.

მეორე ეტაპზე, ჩატარდა ვიქტორინა „კრწანისის ბრძოლის ისტორია“, ბლიც-კითხვებზე გაცემული პასუხებით მოსწავლეებმა გამოავლინეს იმ ისტორიულად მნიშვნელოვანი მოვლენების ცოდნა, რომელთაც ადგილი ჰქონდა ერეკლე მეფისდროინდელ საქართველოში.

ტურში – „ჩვენი თვალით დანახული უბანი“ გუნდებმა ისაუბრეს წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაზე, ნარიყალაზე, მეტეხზე, აბო თბილელზე, აბანოთუბანზე, სამასი არაგველის ობელისკზე. შეჯიბრზე მოსწავლეებმა უბნის ისტორიის ცოდნა გამოავლინეს.

შემდეგი ტური მეტად საინტერესო იყო, „ნორჩმა ოპერატორებმა“ – **ნატო ჩიხელიძემ, თემურ ელიზბარაშვილმა, მარი ჩხაიძემ** და **საბინა მუსაევამ**, ვიდეომასალის თანხლებით, წარმოადგინეს ორთაჭალის ძველი ტრადიციები და ისტორიული ძეგლები.

კონკურსში „ნორჩი დეკლამატორი“ – წაიკითხეს კოლაუ ნადირაძისა და ლადო ასათიანის ისტორიულ თემაზე დაწერილი ლექსები: „სამასი არაგველის ხსოვნას“ და „კრწანისის ყაყაჩოები“. სამივე გუნდმა თავი გამოიჩინა და საუკეთესო დეკლამატორიც შეირჩა.

ბოლო ტური საკმაოდ დატვირთული იყო – ინტელექტუალური ვიქტორინის შემდეგ, მოსწავლეებმა ბედი „ნორჩი მხატვრის“ სახელის მოსაპოვებლად სცადეს. ყოველი ტურის შემდეგ მაყურებელი საგანგებოდ მომზადებულ მუსიკალურ ნომრებს უსმენდა (პედაგოგი – **ლია ღოღობერიძე**).

ღონისძიების მიზანი იყო შეგვეჯამებინა, თუ როგორ შეისწავლეს მოსწავლეებმა უბნის ისტორია და წარსული. დადასტურდა, რომ ეს კონკურსი ბევრისმომცემი იყო თითეული მოსწავლისათვის. ღონისძიების ორგანიზებაში დიდი დახმარება გაგვიწია სკოლის დირექტორმა **ოლიკო ქიტიაშვილმა**, რისთვისაც მშობლებისაგან მადლობა დაიმსახურა. ჟიურის წევრებმა: **ნენო გოგოტიშვილმა, სოფო ლათიბაშვილმა, მანანა ვადაქარიამ** თითოეული მოსწავლის შესაძლებლობები გაითვალისწინეს და ნომინაციებში გამარჯვებულებიც გამოავლინეს: *ჟიურის სიმპატია* – **საბინა მუსაევი**; *ყველაზე მჭევრმეტყველი და მოაზროვნე* – **ნატო ჩიხელიძე**; *საუკეთესო ლიდერი* – **ალექსი ფანჩვიძე**; *ნორჩი ოპერატორი* – **მარი ჩხაიძე**; *პატარა მხატვარი* – **ანა-მარია გასანოვი**; *ყველაზე წარმატებული* – **მარი ფოცხიშვილი**; *ყველაზე ორგანიზებული* – **ჯალო გასანოვი**; *ყველაზე აქტიური* – **სოფო ნემოვი**; *ყველაზე გონიერი და საუკეთესო დეკლამატორი* – **თემურ ელიზბარაშვილი**; *ყველაზე მოწესრიგებული* – **კარინა რასოიანი**.

ნომინაციებში გამარჯვებულები სიგელებით დაჯილდოვდნენ. მოსწავლეებს სლაიდშოუს მომზადებაში დაეხმარა სკოლის საინფორმაციო მენეჯერი **სოფო ლათიბაშვილი**.

ეს ღონისძიება ერთგვარი გამოწვევაა თბილისის სკოლების დაწყებითი კლასების მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის – გავეჯიბროთ ერთმანეთს ჩვენი ქალაქის, უბნის ისტორიის ცოდნაში.

მარინა ჯელაძე
თბილისის №75 საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

არ შეუშინდეთ რისკს და წაგებას

„გლობალური ლიდერის“ ამერიკული დღიურები



– ნინუცა, მე-12 კლასიდან სასწავლებლად ამერიკაში გაემგზავრე, როგორ მოხვდი GHSEP პროგრამაში, მიამბე, ამ პროგრამის შესახებ...

– დავამთავრე თბილისის №55 საჯარო სკოლა, ვერცხლის მედალზე. მე-12 კლასი ამერიკაში, ჯორჯიის შტატის ქალაქ ტიფტონში გავიარე. ყველაფერი 15-წუთიანი ტესტირებით დაიწყო, დაახლოებით 7 თვეში კი, ვაშინგტონის აეროპორტში ვიყავი. ალბათ, გაინტერესებთ როგორ მოვხვდი „ერთხელ ამერიკაში“.

უკვე მეოცე წელია, რაც მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამა FLEX შესაძლებლობას აძლევს ქართველ მოსწავლეებს, ისწავლონ ამერიკულ სკოლებში. პროგრამას აფინანსებს ამერიკის მთავრობა და ადმინისტრირებას უწევს „საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოები“. ეს ერთწლიანი უფასო პროგრამაა, რომელიც გულისხმობს IX-XI კლასების მოსწავლეების ამერიკაში გაგზავნას, ამერიკულ სკოლებში (high school) სწავლას და ამერიკელ მასპინძელ ოჯახებში ცხოვრებას. ამ პროგრამის შესახებ მე-10 კლასში გავიგე, თუმცა პირველივე ტურში ჩავიჭერი, და გადავწყვიტე, მომავალ წელს ისევ გავსულიყავი. უბრალოდ, მინდოდა ჩემი თავისთვის დამემტკიცებინა, რომ ინგლისურ ენაში ამდენწლიანი მეცადინეობა წყალში არ ჩაყრილა. შემდეგ წელს, მეორე ტურში გადავედი, სადაც საფუძვლიანად უნდა გამოგვევლინა ინგლისური ენის კითხვის, მოსმენის და წერის უნარები. ეს საკმაოდ გრძელი, დაახლოებით, 3-საათიანი ტესტირება იყო. უკვე მესამე ტურში რომ გადავედი, დავიწყე ფიქრი, რომ მართლა შეიძლებოდა ამერიკაში წავსულიყავი. თუმცა, ამის შესახებ არავის ვეუბნებოდი, ოჯახის წევრებსაც კი, მეგონა ბევრს თუ ვილაპარაკებდი, აღარ გამოვიდოდა. გავიარე გასაუბრება და შევავსე სპეციალური აპლიკაციის ფორმა, სადაც დეტალურად წერ – ინტერესებს, მიღწევებს, სკოლის ნიშნებს, ასევე აგზავნი მასწავლებლის რეკომენდაციას და სხვა ინფორმაციას. საბოლოო შედეგებს 5 თვე ველოდებოდით მე და ჩემი კლასელი, ძალიან ახლო მეგობარი სალომე ხახლიშვილი. 8 მაისს გავიგეთ, რომ გავიმარჯვეთ და ამერიკაში მივდიოდით ერთი წლით. თუმცა, არა FLEX-ის, არამედ GHSEP (Georgian High School Exchange Program) პროგრამით, რომელიც საქართველოს განათლების სამინისტროს ინიციატივა იყო, ასევე ამერიკული საბჭოები უწევდა ადმინისტრირებას და 50 მოსწავლის ამერიკაში გაგზავნას გულისხმობდა. სამწუხაროდ, ეს პროგრამა მხოლოდ ორი წელი დაფინანსდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, იმ 100-ვე ახალგაზრდამ ძალიან მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული გამოცდილება მიიღო. ამერიკაში ყოფნის დროს და შემდეგაც მათ დიდ წარმატებებს მიაღწიეს და ჩართულები არიან მოხალისეობრივ საქმიანობებში.

– მიამბე ტიფტონის უმაღლესი სკოლის ისტორიისა და სასწავლო პროგრამების შესახებ. რა მსგავსება და განსხვავებაა ქართულ სკოლასა და ამერიკულ სკოლას შორის?

– ქალაქ ტიფტონის უმაღლესი სკოლა, ანუ Tift Country High School ტიპური ამერიკული სკოლაა, სადაც IX-XII კლასების მოსწავლეები ერთ დიდ შენობაში სწავლობენ. შტატის მასშტაბით, რეიტინგით, 10-დან მე-5 სკოლაა. მოსწავლეების რაოდენობა 10 000-ზე მეტია. სკოლაში მრავალი კლუბია, რომელიც ყველა მოსწავლის ინტერესებს პასუხობს: სპორტის – კალათბურთის, ამერიკული ფეხბურთის, ფეხბურთის (soccer), ბეისბოლის, გოლფის, ტენისის, ფრენბურთის, ცურვის, მკლავჭიდის; უცხო ენების – ესპანურის, ფრანგულის; მათემატიკის; მეცნიერების და სხვ. სკოლას აქვს საკუთარი გაზეთი და მოსწავლეთა საბჭო (Student Council). ასევე მუშაობს სხვადასხვა საერთაშორისო ლიდერთა კლუბები (Key Club, Beta Club). ტიფტონის სკოლის მოსწავლეს შეუძლია, საკუთარი ინტერესის მიხედვით, გაწევრიანდეს ისეთ კლუბებში, როგორიცაა ახალგაზრდა ბიზნესმენთა, მარკეტოლოგთა და მეწარმეთა, ფერმერთა, ექიმთა, კულინართა და სხვ.

სკოლას ჰყავს საკუთარი ბენდი, თეატრალური დასი, ვოკალის გუნდი, არის ხატვის კლასები და ROTC, ანუ რეზერვისტი ოფიცრების კურსები. მოკლედ, აქ შენი ნიჭის და უნარის გამოვლენა და ბავშვობის ოცნებების ასრულება შეგიძლია. კლუბების წევრები ყოველკვირეულად იკრიბებიან, იღებენ ცოდნას და გამოცდილებას, ამზადებენ პროექტებს, მონაწილეობენ რეგიონულ და ნაციონალურ შეჯიბრებებში, რაც მთავარია, იძენენ მეგობრებს და ატარებენ ძალიან კარგ დროს.

ამერიკულ სკოლებში უამრავი შესაძლებლობაა მოსწავლეებისათვის. ტიფტის სკოლაში არა მხოლოდ აკადემიური საგნებია, არამედ ისეთი არჩევითი საგნებიც, რაც გეხმარება ჩამოყალიბდე არჩევანში – რა პროფესიას გინდა დაეუფლო მომავალში. სემესტრის განმავლობაში, ცხრილი ყოველ დღე ერთი და იგივეა, მხოლოდ 4 საგანი შეისწავლება, გაკვეთილის ხანგძლივობა 90 წუთია. სასწავლო პროგრამა მოიაზრებს უფრო მეტ პრაქტიკუმს, ვიდრე თეორიულ მეცადინეობას. გამოკითხვის მეთოდი – თითქმის ყოველდღიური ქვიზები, დავალებები, პროექტები, შუალედური და საბოლოო გამოცდები. იქ არასდროს გიწევს შეშინებული სახით დაფასთან დგომა და გაკვეთილის ჩაბარება, დაფასთან მხოლოდ პროექტების პრეზენტაციის დროს გადიხარ. დასწრებისა და ქულების აღრიცხვა კომპიუტერულად ხდება, სემესტრის მიმდინარეობისას მასწავლებელი ყველა მოსწავლეს პირადად აცნობს მათ ქულებს, მაქსიმუმი 100-ია, შეფასება სხვადასხვა მახასიათებელს ემყარება. ვფიქრობ, განსხვავებულია დამოკიდებულება მოსწავლესა და მასწავლებელს შორის. მასწავლებელს მიმართავენ ქალბატონო/ბატონოთი და გვარით, თუმცა ურთიერთობები ძალიან გახსნილია, შეიძლება მასწავლებელს ემეგობრო, მოუყვე შენი ისტორიები, თუ რაიმეს ვერ გაიგებ, დაგეხმარება. ყოველივე ეს არანაირად არ აისახება ნიშნებზე, შეფასების სისტემა ძალიან ობიექტურია. მოსწავლეებს არ ეშინიათ მასწავლებლების, როგორც ჩვენთან, თუმცა, მასწავლებლისადმი პატივისცემის გრძნობა, რაც ვფიქრობ, მნიშნელოვანია, იქ ცოტა ნაკლებად აქვთ.

გადაწერა და კარნახი არ შეიძლება, ამ დროს არა მხოლოდ ის ისჯება ვინც იწერს, არამედ ისიც, ვინც აწერინებს. მახსოვს, ესპანურის მასწავლებლისაგან 3-ჯერ მივიღე გაფრთხილება, რადგან ჩემ გვერდით მსხდომებს სულ ვეხმარებოდი ტესტების დაწერაში, ბოლოს მითხრა: ვიცი, რომ შენ იცი და სხვას ეხმარები, მაგრამ თუ გამოცდაზეც ასე მოიქცევი, 0 ქულას დაგიწერო.

განსხვავებულია, ასევე, კლასებად დაყოფის სისტემა. როგორც იცით, საქართველოში გვაქვს, მაგალითად: მე-11ᵃ ან მე-11¹ კლასები. ტიფტის უმაღლეს სკოლაში მსგავსი რამ არ იყო, სტუდენტი თვითონ ირჩევს ყველა საგანს და არ არის განსაზღვრული კლასები და დამრიგებლები. შესაბამისად, არც კონკრეტული ოთახი ეკუთვნის რომელიმე კლასს. ყველა მასწავლებელს საკუთარი ოთახი აქვს, სადაც მოსწავლეები მიდიან გაკვეთილზე და არა მასწავლებელი. შესვენებების დროს ძალიან სახალისოა, როდესაც დერეფნებში მოსწავლეების დიდი ნაკადი მოძრაობს, ოთახიდან ოთახამდე გადაადგილებისას.

ჩემი აზრით, იქ სწავლა უფრო მარტივია, რადგან ყოველდღიურად ამოწმებ შენს ცოდნას ტესტების საშუალებით. ასევე, არც პროგრამაა დატვირთული. ჩემი აზრით, სწავლაზე ყველაფერს აქვს გავლენა – კარგი შენობა, ოთახის აღჭურვილობა, სწავლების თანამედროვე მეთოდი, კარგი ბიბლიოთეკა და კომპიუტერული კვლევითი ცენტრები, ლაბორატორიები, კვალიფიციური მასწავლებლები – ეს ყველაფერი მოტივაციას აძლევს მოსწავლეს კარგად ისწავლოს, სწავლის პროცესიც სასიამოვნო და სახალისოა.

კიდევ ერთი განსხვავება ქართულ და ამერიკულ სკოლას შორის ის არის, რომ იქ უნარშეზღუდული მოსწავლეებიც სწავლობდნენ, რომლებიც ცალკე ჯგუფებში არიან, თუმცა ხშირად ვერთვებოდით ერთად სხვადასხვა ღონისძიებებში.

სკოლაში ძალიან ბევრი სახალისო რამ კეთდებოდა, რაშიც მასწავლებლებიც მონაწილეობდნენ. სხვათა შორის, ტიფტონს „მსოფლიოს კითხვის დედაქალაქის“ ტიტული მიენიჭა 2000 წელს. არსებობს სისტემა, რომლის მიხედვითაც, ყოველ წიგნს მინიჭებული აქვს ქულა, სიდიდისა და ნაწარმოების სირთულის მიხედვით, წიგნის წაკითხვის შემდეგ, კომპიუტერში შეგიძლია გაიარო ტესტირება ამ წიგნის შესახებ და მიიღო ქულა, რომელიც დიდ სისტემაში ინახება. ერთ წელს, ტიფტონში, დიდიც და პატარაც, მოსწავლეც და მასწავლებელიც – მთელი ქალაქი ჩაერთო ამ მარათონში და 900 000-ზე მეტი წიგნი წაიკითხეს, ქალაქმა 1 მილიონზე მეტი ქულა მოიპოვა და ეს ტიტული დაიმსახურა. ყველა ამბობდა, რომ ეს ძალიან საინტერესო იყო, მთელი ქალაქი გაერთიანდა და ყველგან ყველა წიგნს კითხულობდა.

კიდევ აღვნიშნავდი სკოლის გამოსაშვებს, რომელიც მართლაც განსხვავდება ქართული სკოლის ბოლო ზარისგან. მანტიები, დიდი ცერემონიალი, ქუდების ჰაერში სროლა... – ეს ყველაფერი ძალიან კარგი იყო. თუმცა, მე ჩვენი ბოლო ზარიც ძალიან მიყვარს. სამწუხაროდ, თბილისში ჩამოსვლა ვერ მოვასწარი, თუმცა ამერიკაში მოვიწყვე ბოლო ზარი და ყველას გავაცანი ჩვენი ტრადიცია და ხელმოწერებიც შევაგროვე.

ამერიკაში ყოფნისას ვცდილობდი, ამერიკელებისთვის საქართველო გამეცნო, რადგან ცოტამ თუ იცოდა, რომ არსებობს ქვეყანა სახელად საქართველო. გავმართე ძალიან ბევრი პრეზენტაცია სხვადასხვა თემაზე, სხვადასხვა აუდიტორიასთან – დაწყებული საბავშვო ბაღებში ქართული ანბანის სწავლებით, დამთავრებული კულინარიის კლასში ხაჭაპურის გამოცხობით, ბენდთან მუსიკალურ საკრავებზე და ფოლკლორზე საუბრით, თეატრალურ კლასში ქართული ქორწილის იმპროვიზებით, ხმლების ქვეშ ნეფე-პატარძლის გატარებით, „ვისია, ვისიას“ სიმღერითა და სხვ. საერთო ჯამში, 35-ზე მეტი პრეზენტაცია მოვაწყვე. ამისთვის დავჯილდოვდი კიდეც გაცვლითი ორგანიზაციისაგან და წლის ბოლოს, გაცვლით სტუდენტებს შორის, „გლობალურ ლიდერად“ გამომაცხადეს სამოქალაქო საქმიანობაში, კულტურულ ურთიერთობებსა და ლიდერობაში მიღწევებისთვის.

– ამერიკულ სკოლაში რა პრივილეგიებით სარგებლობენ წარჩინებული მოსწავლეები?

– კომპიუტერულ ბაზაში შედის ყველა სტუდენტის ქულები და დგება რეიტინგი. წელინადში ორჯერ ეწყობა „ღირსების საღამო“, სადაც იმ მოსწავლეებს იწვევენ, რომელთაც 91-ზე მეტი საშუალო ქულა აქვთ. ეს ნამდვილი დღესასწაულია, მეგობრები და ნათესავები იკრიბებიან, მოსწავლეებს აჯილდოვებენ სპეციალური მედლებითა და დიპლომებით. ეს წახალისების ძალიან კარგი ფორმაა, რადგან უამრავი ადამიანის წინაშე აცხადებენ შენს გვარს და გადმოგცემენ ჯილდოებს. თუ 91-დან 95 ქულამდე გაქვს, „ღირსეული სტუდენტის“ ტიტულს იღებ. 95-დან ზევით კი – „უმაღლესი წოდების ღირსების სტუდენტი“ ხდები. საბედნიეროდ, მქონდა პატივი, გავმხდარიყავი „უმაღლესი წოდების ღირსების სტუდენტი“, კლასში, რეიტინგით, 294 მოსწავლიდან მე-7 ვიყავი. წარჩინებულ მოსწავლეებს, ასევე, ანებივრებენ საჩუქრებით, შეღავათებით, იწვევენ სხვადასხვა ღონისძიებებზე და ა.შ.

– განსაზღვრა თუ არა შენი მომავალი პროფესია ტიფტონის უმაღლესმა სკოლამ?

– კონკრეტული პროფესია არ განუსაზღვრავს, თუმცა, მომცა საშუალება, გამომეცადა ჩემი თავი სხვადასხვა სფეროში, გამეგო რა გამომდის კარგად და რა – არა, რისი კეთება მსიამოვნებს და ა.შ., რაც არა მარტო პროფესიის არჩევაში, პიროვნულადაც ძალიან დამეხმარა. როგორც უკვე ვთქვი, იქ ძალიან ბევრი საგანი და კლუბი იყო. ვიყავი შოუს გუნდში, რომლის ყოველი მეცადინეობა კონცერტი იყო, გვქონდა კონცერტები სკოლაშიც და გასვლითი ტურებიც სხვა ქალაქებსა და შტატებში. ძალიან კარგი იყო, როგორც ცნობილ ტელესერიალ GLEE-შია. ასევე მოვსინჯე ჩემი შესაძლებლობები დრამაში, დავდგით 5 სპექტაკლი, მათ შორის მიუზიკლში მქონდა ერთ-ერთი მთავარი როლი. წლის დასაწყისში მოეწყო სკოლის Idol, ანუ სიმღერის კონკურსი, როგორც American Idol, სადაც მესამე ადგილი მოვიპოვე. სხვათა შორის ერთ-ერთ ტურში ვიმღერე ქართული „იავნანა“, რომელსაც თამრიკო ჭოხონელიძე ასრულებს. ამ კონკურსის შემდეგ ჯაზ ბენდში ვოკალისტად მიმიწვიეს, ვაწყობდით კონცერტებს, ვიყავით ფლორიდაში

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

გასტროლზე და ჩავწერეთ CD. ხელოვნება ყოველთვის მიზიდავდა და ბავშვობიდან მინდოდა მსახიობობა. ამერიკული გამოცდილების შემდეგ, ოჯახი დავითანხმე კიდეც, რომ ჩამებარებინა თეატრალურში, თუმცა, შიდა გამოცდებამდე ჩამოსვლა ვერ მოვახერხე.

ძალიან კარგად მახსენდება, ასევე, ბიზნესის და მარკეტინგის კლასი. პროფესიად ეს სფერო არ ამირჩევია, თუმცა, ძალიან მომწონს და არც არის გამორიცხული, რომ მომავალში ბიზნესი წამოვიწყო. ერთადერთი, რაც გავაგრძელე, ჟურნალისტიკაა. იქ სკოლის ახალი ამბების ერთ-ერთი წამყვანი ვიყავი. ასევე, როგორც ვახსენე, ბევრი ლიდერთა კლუბია და იქაც გავწევრიანდი, ძალიან ბევრ საქველმოქმედო და მოხალისეობრივ ღონისძიებაში ვიყავი ჩართული. ამ საქმიანობას ჩამოსვლის შემდეგაც ვაგრძელებ.

– მიამბე ამერიკულ ცხოვრებაზე – როგორ ცხოვრობენ ამერიკელები, ახალგაზრდები, რა არის მათთვის პრიორიტეტული?

– დღის განმავლობაში ყველა დაკავებულია თავისი საქმით, საღამოს აწყობენ ოჯახურ „Shopping“-ს ან ვახშამს, სადაც ერთმანეთს უყვებიან ამბებს, ხუმრობენ და ა.შ. დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სპორტს და ჯანსაღ ცხოვრებას. რა თქმა უნდა, მთელ ამერიკაზე ვერ ვილაპარაკებ, რადგან ის ძალიან დიდია და ხალხიც თავისებურად განსხვავებულია. შემიძლია მოკლედ მოგიყვე ჩემი მასპინძელი ოჯახის შესახებ. ძალიან დიდ ყურადღებას აქცევდნენ ჯანსაღ კვებას. კვირაში ერთხელ, გარეთ საჭმელად გავდიოდით, ოჯახის მეგობრებთან ერთად.

ამერიკაში სხვადასხვა თაობები ერთად არ ცხოვრობენ. სკოლის ან კოლეჯის დამთავრების შემდეგ, ახალგაზრდები, ძირითადად, ცალკე გადადიან საცხოვრებლად, განსაკუთრებულ დღესასწაულებზე, მაგალითად, მადლიერების დღეს, აწყობენ ოჯახურ შეკრებებს.

ტიფტონი არც ისე დიდი ქალაქია, დაახლოებით, 15 000 ადამიანი ცხოვრობს და ცნობილია როგორც მეგობრული ქალაქი. მართლაც, ყველა ერთმანეთს იცნობს და ძალიან მეგობრული სიტუაციაა. ჩასვლიდან რამდენიმე თვეში, უკვე ყველამ იცოდა, რომ ამ ქალაქში ცხოვრობდა გაცვლითი პროგრამის სტუდენტი – ნინო მეორე ჯორჯიიდან, ანუ საქართველოდან.

ამერიკელები ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მოხალისეობას. ვიღაცის დახმარება იქ ჩვეულებრივი მოვლენაა და უფრო სოციალური პასუხისმგებლობაა. პატარაც და დიდიც – ყველა ერთვება მოხალისეობრივ ღონისძიებებში, იქნება ეს ერთობლივად პარკის დალაგება თუ საქველმოქმედო ღონისძიება. მეც ძალიან აქტიური მოხალისე ვიყავი და იმისთვის, რომ გავიღე დრო და ენერგია ამერიკელი ხალხის დახმარებისათვის, თეთრი სახლიდან მივიღე „პრეზიდენტის მოხალისეობრივი სერვისის ოქროს მედალი“ და ბარაკ ობამას მადლობის წერილი. მოგეხსენებათ, ამერიკელები ტოლერანტები არიან, იქ ძალიან ბევრი ეროვნების და რასის წარმომადგენელი ცხოვრობს. ბევრი ახალგაზრდა მუშაობს ნახევარ განაკვეთზე, არც თუ ისე პრესტიჟულ თანამდებობებზე, თუმცა, მათ ყოველთვის აქვთ „ჯიბის ფული“. შეიძლება ითქვას, რომ ამერიკელებისთვის პრიორიტეტია კარგი კარიერის შექმნა, არიან მიზანდასახულნი, ნაკლებად აინტერესებთ პოლიტიკა და ცდილობენ საკუთარი საქმეები მოაგვარონ.

– სად და როგორ ატარებდი თავისუფალ დროს?

– თავისუფალ დროს, ძირითადად, ისევ სკოლაში ან მეგობრებთან ერთად ვატარებდი. სკოლაში იმიტომ, როგორც გითხარით, სხვადასხვა კლუბებში ვიყავი გაწევრიანებული. რაც შეეხება მეგობრებთან ერთად ყოფნას, კლუბებში სიარული და დალევა 21 წლამდე არ შეიძლება. გართობის საშუალებაა სადმე ერთად წასვლა – კინო, კონცერტი, კაფე, ვინმესთან შეკრება და სხვადასხვა თამაშები.

ყოველ პარასკევს ამერიკული ფეხბურთის ან კალათბურთის თამაშები იმართება, რაც ცალკე მოვლენაა. სკოლის მოსწავლეები ტიფტონის სკოლის ლურჯ და თეთრ ფერებში იღებებიან, თამაშს აფორმებს დიდი ბენდი და ცეკვავენ „Cheerleader“-ები.

– ამერიკაში ყოფნის პერიოდში, ხომ არ მოგიწია სასწავლებლიდან სხვა ქვეყნებში წასვლა? რამდენადაც ვიცი, ასეთ სასწავლებლებში სამოგზაურო ტურები ეწყობა?

– სხვადასხვა ქვეყანაში არა, თუმცა ქალაქებსა და შტატებში კი – რეგიონულ ან ნაციონალურ კონფერენციებზე, შეჯიბრებებზე. ერთხელ, ჩიკაგოში შევიკრიბეთ გაცვლითი პროგრამის სტუდენტები საქართველოდან, უკრაინიდან, მოლდოვადან და სხვა ქვეყნებიდან. ძალიან საინტერესო და სახალისო მოგზაურობა იყო.

– ამის შემდეგ, ბრუნდები საქართველოში და სწავლას აგრძელებ უნივერსიტეტში. რომელ კურსზე ხარ და რა პროფესიას ეუფლები?

– ამერიკიდან დავბრუნდი 2010 წლის მაისის ბოლოს, ჩავაბარე ერთიანი ეროვნული გამოცდები და ჩავაბარე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, მივიღე 100%-იანი დაფინანსება. ამჟამად, მეორე კურსის სტუდენტი ვარ. ძირითად პროფესიად სოციოლოგია ავირჩიე, ხოლო დამატებით – ჟურნალისტიკა.

ასევე, ამერიკიდან ჩამოსვლის შემდეგ დავინიშნე GHSEP (უფროსკლასელ მოსწავლეთა გაცვლითი პროგრამის) კურსდამთავრებულთა კოორდინატორად, ერთი წელი ვმუშაობდი ამერიკულ საბჭოებში და ყოველთვიურად 5-7 ღონისძიებას ვაწყობდი (საქველმოქმედო აქციები ბავშვთა და მოხუცთა სახლებში, გარემოს დასუფთავება, ხეების დარგვა, კულტურული საღამოები, სხვადასხვა კამპანიები და სხვ.).

– დაბოლოს, რა მოგცა ამერიკაში გატარებულმა ერთმა წელმა, რა რჩევას მისცემდი თანატოლებს?

– ძალიან ბევრი რამ, პირველ რიგში, კარგად გავიცანი საკუთარი თავი და შესაძლელობები, გავხდი დამოუკიდებელი და თავდაჯერებული. თუმცა, ვფიქრობ, ამისთვის არ არის აუცილებელი ამერიკაში, ევროპაში ან სხვა ქვეყანაში წასვლა. ჩემს თანატოლებს ვურჩევდი,

რომ ყოველთვის ეცადონ მიიღონ ახალი გამოცდილება, არ შეეშინდეთ რისკის და წაგების, არ გაუშვან შესაძლებლობები ხელიდან, რადგან ეს ძალიან დაეხმარებათ, გაიცნონ საკუთარი თავი და იყვნენ წარმატებულები.

საქართველოდან შორს ცხოვრებამ სხვა ჭრილიდან დამანახა ჩვენი თავი, უფრო დავაფასე ჩვენი კულტურა, ტრადიციები, ისტორია, გავხდი უფრო პატრიოტი და მივხვდი, რომ ესა თუ ის საკითხი უკეთესად შეიძლება მოვაგვაროთ და ამისთვის არ არის აუცილებელი რომელიმე ინსტიტუციის ჩარევა. თითოეულ ჩვენგანს შეგვიძლია ვაკეთოთ რაღაც კარგი, შევიტანოთ დადებითი ცვლილებები ჩვენი და სხვების ცხოვრებაში. ალბათ, მეორე რჩევა იქნებოდა, რომ იყვნენ აქტიური მოქალაქეები და ჩაერთონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მოქალაქეობა მხოლოდ ხმის მიცემის უფლებას არ ნიშნავს. ცოტა უხერხულია რჩევების მიცემა და არ მინდა დიდაქტიკური საუბარი გამომივიდეს. უბრალოდ, რაც ამერიკაში დავინახე და აქაც მინდა დავინახო, არის აქტიური ახალგაზრდობა, რომელიც კარგი მომავლის შექმნაზე ფიქრობს.

– მომავალი როგორ გესახება, სად აპირებ დამკვიდრებას, სამომავლოდ ხომ არ გეგმავ საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელებას?

– ჯერჯერობით დიდი ხნით წასვლას არსად ვგეგმავ, შეიძლება მაგისტრატურა გავაგრძელო საზღვარგარეთ, თუმცა, დამკვიდრებას, რა თქმა უნდა, საქართველოში ვაპირებ.

ესაუბრა ***მაკა ყიფიანი***

ინფორმაცია

* * *

საქართველოს სკოლების პირველი კლასის მასწავლებლები, რომლებიც „ბუკის“ გამოყენებით წარმართავენ სასწავლო პროცესს, კომპანია „მაიკროსოფტ საქართველოს“ მიერ ორგანიზებულ ინოვაციური პროექტების კონკურსში „საქართველოს ფორუმი – პარტნიორები განათლებაში 2012 (Partners in Learning Georgian Forum 2012)“ მიიღებენ მონაწილეობას. ამ თემასთან დაკავშირებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა, კომპანია „მაიკროსოფტ საქართველოს“ გენერალურმა მენეჯერმა დავით ასათიანმა და სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორმა გია მამულაშვილმა ბრიფინგი გამართეს.

კონკურსი დაფუძნებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების სწავლების პროცესში ეფექტურ გამოყენებაზე და მისი მიზანია ინოვაციური სწავლა/სწავლების მეთოდოლოგიის დანერგვის გზით, განათლების ხარისხის გაუმჯობესება, ამასთანავე საუკეთესო პრაქტიკის გამოვლენა და გაზიარება.

გამარჯვებული პროექტი მონაწილეობას ევროპის ფორუმში (Partners in Learning European Forum 2012) მიიღებს, რომელიც 20-22 მარტს ლისაბონში (პორტუგალია) გაიმართება, ევროპის ფორუმზე გამარჯვების შემთხვევაში, პროექტი ნომინირებული იქნება მსოფლიო ფორუმზე (Partners in Learning Global Forum 2012), რომელიც ოქტომბერში ათენში (საბერძნეთი) ჩატარდება.

კონკურსში მონაწილეობის მიღება ყველა იმ მასწავლებელს შეუძლია, რომელიც დაწყებითი საფეხურის I კლასში ასწავლის და სწავლების პროცესში ნეთბუკს „ბუკი“ იყენებს (1:1 ელექტრონული სწავლება). ინტეგრირებული სწავლების სპეციფიკიდან გამომდინარე, კონკურსში იმავე კლასის სხვა მასწავლებლებსაც შეუძლიათ ჩართვა, თუკი გაკვეთილის/პროექტის განხორციელებაში 2 ან მეტი დისციპლინის ინტეგრირება იგულისხმება. პროექტს შესაძლოა ჰყავდეს არა უმეტეს ორი ავტორისა, თანამონაწილეების რაოდენობა შეუზღუდავია.

კონკურსი რამდენიმე ეტაპად ჩატარდება. გამარჯვებული 2 პროექტი, 4 მასწავლებელი და ორი ტრენერი ევროპის ფორუმზე გაემგზავრება. კონკურსთან დაკავშირებული ინფორმაციის ხილვა სამინისტროს (www.mes.gov.ge), მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრისა (www.tpdc.ge) და „მაიკროსოფტ საქართველოს“ ვებგვერდებზეა (www. pilforum2012.k12.ge) შესაძლებელი.

კომპანია Microsoft, მსოფლიო მასშტაბით, ყოველწლიურად, ატარებს ნოვაციური პროექტების კონკურსს. ქართველი მასწავლებლები ევროპის ფორუმში, წელს მესამედ, მიიღებენ მონაწილეობას.

* * *

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა, მოეწყო თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სამუშაო ოთახები და სპეცსაცავები. განახლებული ბიბლიოთეკა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ და განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა გახსნეს.

ბიბლიოთეკის ფოიეში, სპეციალიზებულ (საბიბლიოთეკო) კარადებსა და საგამოფენო სტენდებზე XVIII, XIX და XX საუკუნეების უნიკალური გამოცემებია განთავსებული, მათ შორის, უიშვიათესი ეგზემპლარები, რომელთა ანალოგი არც ერთ ბიბლიოთეკაში არ მოიპოვება. საბიბლიოთეკო ერთეულები წარმოდგენილია ქართულ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, ლათინურ, ბერძნულ და რუსულ ენებზე.

ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ოთხი დარბაზი ფუნქციონირებს: ტექნიკურ მეცნიერებათა დარბაზი, რომელიც საკონფერენციო დარბაზის ფუნქციებსაც ითავსებს, 100-150 პერსონაზეა გათვლილი და აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკითა და უკაბელო ინტერნეტით. აქ განთავსებულია ცნობილი ამერიკული გამოცემის NOVA-ს ტექნიკური დარგის ლიტერატურა. NOVA ასევე გამოსცემს „საქართველოს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო ჟურნალს“, სადაც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომლების მიერ მომზადებული სტატიები და სამეცნიერო ნაშრომები იბეჭდება, 2012 წლიდან ბიბლიოთეკას პირდაპირი წესით მიეწოდება NOVA-ს ტექნიკური გამოცემები. დარბაზში დაშვება თავისუფალია.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარბაზში მხატვრული ლიტერატურის წიგნადი ფონდია დაცული და XX საუკუნის დასაწყისში სპეციალურად ბიბლიოთეკისთვის შექმნილი ავეჯითაა გაწყობილი. დარბაზში შესაძლებელია კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობა და უკაბელო ინტერნეტის გამოყენება. დარბაზში დაშვება თავისუფალია.

წიგნების ელექტრონულ ვერსიათა დარბაზში განთავსებულია ინტერნეტში ჩართული 100 კომპიუტერი. აქვე დაცულია ლიტერატურა, რომელიც შეესაბამება ინფორმატიკისა და მართვის სისტემების სპეციალობას, აქვეა მათი ელექტრონული ვერსიები. დაშვება სპეციალურ ფონდთან თავისუფალია.

პრესის დარბაზი აღჭურვილია 12 პერსონალური კომპიუტერით და რამდენიმე ათეული დასახელების ადგილობრივი და უცხოური სამეცნიერო პერიოდული გამოცემით.

ბიბლიოთეკის კომპიუტერული ცენტრის საშუალებით ხელმისაწვდომია საქართველოს მსხვილი ბიბლიოთეკებიდან სასურველი ინფორმაციის მოპოვება. ასევე, ონლაინხაზებით ნებისმიერ მკითხველს შეუძლია ინგლისისა და ამერიკის ცნობილ საბიბლიოთეკო საცავებში არსებული სასურველი ინფორმაციის მოპოვება და მიღება.

ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი უნიკალურია და მოიცავს როგორც სასწავლო, აგრეთვე, სამეცნიერო და მხატვრულ ერთეულებს, რომელთა რაოდენობა 1721906-ია, მათ შორის 500 000 ეგზემპლარი პერიოდული გამოცემაა.

იუბილე

შტრიხები „სიბრძნის კიდობნიდან“

„მრავალნი არიან ჩინებულ, მცირედნი რჩეულ...“ სწორედ რჩეულთა რიცხვს მიეკუთვნება თხემით ტერფამდე პედაგოგი, ჩინებული მათემატიკოსი, ერუდირებული სპეციალისტი და ნაღდი პროფესიონალი **მერი გორდელაძე**. ამ სანდომიან, მომხიბლავ, სამართლიან, ძლიერი ნებისყოფის, შეუვალ ქალბატონს თვალებში ყოველთვის სიკეთის, ბავშვებისა და ახალგაზრდების სიყვარულის მზე უდგას. მასში თანაბარი ჰარმონიულობითაა შერწყმული მაღალადამიანური ღირსებები და პედაგოგიური ოსტატობა. მის პედაგოგიურ ტაქტს, ალღოს და გამოცდილებას საჯარო სკოლასა და უნივერსიტეტში მოღვაწეობის ექვსი ათეული წელი ამშვენებს. ალბათ, მარტო ხუროთმოძღვარზე როდი ბრძანებდა კონსტანტინე, როდესაც წერდა: *„გულს უდიდესი სიამაყე შეუდგება ხოლმე, როდესაც შემოქმედების შენის ნაყოფი მიწასა და ქვეყანას სამკაულად გამოადგებაო.“* მართლაც რომ სიამაყის გრძნობით ივსები, როდესაც ათობით მისი აღზრდილის, კოლეგისა და მეგობრისაგან გესმის მისი მისამართით ნათქვამი გულთბილი სიტყვები, რომელთაც „სიბრძნის კიდობანი“ (ბრძნული აზრები, საინტერესო ფაქტები და მოვლენები) ძლივს იტევს და რომლებიც სამზეოზე გამოსვლას ლამობენ. მოგვაქვს ამონარიდები დასახელებული კიდობნიდან. ისინი ნათლად წარმოაჩენენ ღვაწლმოსილი პედაგოგის – მერი გორდელაძის პორტრეტს.

* * *

ძვირფასო მერი მასწავლებელო!

გწერთ წარსულში უზრუნველი და უანგარო, სანატრელი და განუმეორებელი, ახალგაზრდობის წლების სურათების მოგონებებით აღსავსენი, აწ ჟამთა სვლისაგან დაღლილი თქვენი აღზრდილები.

გვინდა ერთად მოვიგონოთ №1 საშუალო სკოლის მე-6 კლასიდან მე-11 კლასამდე თქვენ მიერ ჩატარებული ფიზიკის გაკვეთილები. ეს იყო ცოდნის ნამდვილი სავანე, ეს იყო ცოდნის აკადემია. თქვენ შეგვაყვარეთ ეს ურთულესი საგანი. თქვენს მეტად საინტერესო, ცოცხალ, ხალისიან, ძიებითა და მსჯელობებით დატვირთულ ორიგინალურ გაკვეთილებს ახლდა სამომავლოდ განკუთვნილი, ჭკუის სასწავლებელი ბრძნული შეგონებები, იუმორით შეზავებული ცხოვრებისეული გამოცდილება და შთამაგონებელი საუბრები ხელოვნებაზე, მის განუსაზღვრელ მნიშვნელობაზე.

სიამაყით გვინდა გითხრათ, რომ თქვენ მიერ დასახული ცხოვრების გზიდან არ გადაგვიხვევია, არ შეგვირცხვენიხართ და პირნათლად ვიხდით მამულიშვილურ ვალს ქვეყნის წინაშე.

ბათუმის №1 საშუალო სკოლის 1963 წლის კურსდამთავრებულთა სახელით
მარინა კალოიანი, ზურაბ აბაშიძე, ლეილა ბუკია...

* * *

ჩემო ძვირფასო მერი!

ჩვენი ნაცნობობა მეგობრობაში გადაიზარდა დიდი ხანია. შენგან ვისწავლე მეგობრობის, შრომის ფასი, მორიდება, ერთგულება, საქმის სიყვარული. შენმა კეთილშობილურმა აზრებმა, მოქმედებამ მასწავლა გამძლეობა, სიკეთის ქმედება, ძალა შემმატა, ნებისყოფა გამიძლიერა. შენ კი პირადად შრომისა და სიკეთის ქმედებისთვის, სხვაზე ზრუნვისათვის ხარ ამქვეყნად მოვლენილი...

გკოცნით თქვენი ლეილა ხმელიძე

* * *

ჩემო მშვენიერო მერი მასწავლებელო!

ვკითხულობ, ვფურცლავ ამ წიგნაკის უკვე ამეტყველებულ ფურცლებს და ნელ-ნელა აღელვებული, ათასი საფიქრალით სავსე გული მიმშვიდდება... არ გამქრალა, არ გადაგვარებულა ქართული სულიერება, სითბო და სიყვარული. აკლია, ძალიან აკლია დღეს საქართველოს თქვენნაირი სამშობლოზე მოდარდე ადამიანები, თქვენნაირი კეთილშობილი, მუხლჩაუხრელი, გამრჯე, ცისმარე ფუტკარივით მშრომელი ადამიანები...

მინდა გისურვოთ სიხალისე, ბედნიერი ცხოვრება და ისეთი საქართველო, როგორზეც ვოცნებობთ ჩვენ, ქართველები.

სიყვარულით და პატივისცემით,
მწერალი ბელა ქებურია

* * *

საოცარი ენერგიით სავსე მერი მასწავლებელს!

რეზო ინანიშვილი ამბობდა: შეუნარჩუნეთ ადამიანებს ბავშვური შუქი თვალებში და სამყარო გადარჩება!

მერი მასწავლებელი ერთ-ერთი იმ რჩეულთაგანია, ვისაც ეს ბავშვური შუქი დღემდე შენარჩუნებული აქვს, ვისი სიცოცხლის ჟინი და ენერგია გადამდებია და სიკეთისა და სიყვარულის უზომო ნიჭთანაა შერწყმული.

პროფესორი შორენა მახაჭაძე

* * *

მინდა, ჩემი უღრმესი პატივისცემა გამოვხატო მერი მასწავლებლისადმი, ადამიანისადმი, რომელსაც ვაჟკაცურად უვლია თავისი ცხოვრება და ქვეყნისათვის აღუზრდია მრავალი თაობა. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ყოველივე ამისათვის, უანგარო, უმწიკვლო, მუხლჩაუხრელი სამსახურისა და მოღვაწეობისათვის.

მინდა ვისურვო, საქართველოს ბევრი ჰყავდეს ასეთი დედა, მეუღლე, ქალი და რაც ყველაზე მთავარია, ჭეშმარიტი მასწავლებელი.

პატივისცემით,
პროფესორი ანზორ ბერიძე

* * *

ჩემო მერი მასწავლებელო!

უფალმა თქვენ რჩეულთა ხვედრი გარგუნათ! თქვენს ბიოგრაფიაში, ტკივილთან ერთად, უამრავი საამაყო ფურცელია.

ნახევარ საუკუნეზე მეტია ემსახურებით მომავალი თაობების აღზრდა-განათლებას, ხართ მასწავლებელთა მასწავლებელი – ეს გმირობაა.

შეგიძლიათ სხვისი გასაჭირი და სიხარული გაითავისოთ – ეს კეთილშობილებაა.

შეგიძლიათ ადამიანს მოუსმინოთ – ეს დიდი შინაგანი კულტურის მაჩვენებელია.

ბუნებამ დაგაჯილდოვათ ყველა იმ თვისებით, რაც ღირსეულ პედაგოგსა და მისაბაძ ადამიანს უნდა გააჩნდეს.

თქვენ ჩემი მასწავლებელი, ჭკუის დამრიგებელი და მეგობარი ბრძანდებით.

გვიმრავლოს უფალმა თქვენნაირი მასწავლებლები.

მერი კონცელიძე

* * *

ქალბატონო მერი!

გულდასმით წავიკითხე „აზრთა კიდობანში“ გამოხატული შეხედულებები, სურვილები... ბევრი მათგანი სიბრძნის და გამოცდილების ამსახველია, ბევრიც – პირადული ურთიერთობის გამომხატველი... დიდი ბედნიერებაა, როცა ზრდასრულ ადამიანებს და შეგირდებს ასე უყვარხართ. ეს ძალას და ენერგიას გმატებს, გაგრძნობინებს, რომ ფუჭად არ ჩაუვლია ცხოვრებას და ძლიერი კვალი დაგიტოვებია, შეგიძლიათ იამაყოთ...

კეთილი სურვილებით,
პროფესორი ნაზი მიქელაძე

* * *

ჩემთვის გამორჩეულად ახლობელი, უძვირფასესი ადამიანი და მასწავლებლის ეტალონი ხართ, მერი მასწავლებელო. თქვენთან გატარებული წლები აკადემიაა ჩემთვის. თქვენგან ახლაც ბევრ რამეს ვსწავლობ, ვიღებ და ვიყენებ ჩემს პედაგოგიურ საქმიანობაში.

თქვენ განგებამ საუკეთესო ადამიანური ღირსებები უხვად დაგანათლათ. ხართ ურყევი, შეუპოვარი, მედგარი, პრინციპული, შემტევი, სამართლიანი, მომთხოვნი, საქმის ერთგული და ჭეშმარიტი პროფესიონალი.

თქვენზე წერას ვერასოდეს მოვრჩები, თქვენზე სათქმელი ძალიან ბევრი მაქვს, მერი მასწავლებელო, მაგრამ აქ მხოლოდ ერთს გეტყვით:

მე თქვენ გულწრფელად მიყვარხართ, თავს დაბლა გიხრით და კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას თქვენი არსებობისათვის, ადამიანობისა და თქვენი დედობრივი ამაგისათვის, რაც ჩემზე გასწიეთ.

ასოცირებული პროფესორი ნანა მაკარაძე

* * *

უნივერსიტეტის ისტორიას ამშვენებს ბევრი სახელოვანი პიროვნება. ერთ-ერთი მათგანია მერი გორდელაძე, ყველასათვის საყვარელი და ძვირფასი მერი მასწავლებელი. უნივერსიტეტის დიდი სიყვარული, ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობა – ეს შტრიხები ამშვენებს მის ბიოგრაფიას.

მე მჯერა უნივერსიტეტის მომავლისა. გადავაქციოთ ბათუმის უნივერსიტეტი ეროვნული მნიშვნელობის და საერთაშორისო აღიარების საგანმანათლებლო კერად. ეს მარტო ჩემი სურვილი არ არის. ეს ყველას სურვილია, მათ შორის ქალბატონ მერი გორდელაძის – მერი მასწავლებლისა.

პროფესორი ვლადიმერ (ლადო) ბალაძე

* * *

ქალბატონო მერი! მასწავლებელო!

პირველ ყოვლისა, დიდი მადლობა, რომ თქვენს „კიდობანში“ ადამიანებს აძლევთ საშუალებას, თქვენთან მიმართებაში და საერთოდ, გამოამჟღავნონ თავიანთი შინაგანი გულისთქმა, სულიერი სიმდიდრე და ცხოვრებისეული ფილოსოფია. მეც ერთ-ერთი მათგანი ვარ. მოხიბლული ვარ მაღალადამიანური და პედაგოგიური ღირსებებით, შემართებით, შეუვალობით, მომთხოვნელობით, სამართლიანობით, უამრავი გამორჩეული თვისებები დაგანათლა უფალმა. ამიტომაც ხართ გამორჩეული, მისაბაძი და სამაგალითო ყველაფერში.

ვისურვებდი, ჩვენს ქვეყანას კვლავაც ჰყავდეს თქვენისთანა ღირსეული მოქალაქეები, პედაგოგებები, მამულიშვილები.

უდიდესი პატივსიცემით,
პროფესორი ანზორ დიასამიძე.

* * *

უამრავი ასეთი ჩანაწერია „კიდობანში“ – ნატო შეროზიას, ქეთევან გოგუაძის, გივი ნახუცრიშვილისა და სხვების. კითხულობ მათ და რწმუნდები, იმდენი სიკეთე, სიწმინდე და სისპეტაკე მოუმადლებია ზეციერს მერი გორდელაძისთვის, რომ დიდი ილიასი არ იყოს, რაც უნდა ბევრს გაუნაწილოს, მას არ აკლდება რა. და ისიც უნაწილებს გულუხვად თავის გულის სითბოს, ცოდნას, სიკეთეს ყველას – მოსწავლესა თუ სტუდენტს, მასწავლებელსა თუ მშობელს, თავის კოლეგასა თუ ახალბედა ხელმძღვანელს.

თბილი, მყუდრო და ლამაზი ოჯახი აქვს ქალბატონ მერის.

ღვაწლმოსილ და ვალმოხდილ პედაგოგს ვულოცავთ დაბადებიდან 80 და საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოღვაწეობის 60 წლისთავს. დაე, სითბოთი და სიკეთით ჰქონოდეს აღვსილი ყოველი დღე.

აკაკი ზოიძე

ინფორმაცია

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო

იწყებს წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებას. პროგრამის ფარგლებში, სამინისტრო დააფინანსებს აფხაზეთიდან დევნილ წარმატებული აკადემიური მოსწრების, განსაკუთრებული სოციალური საჭიროებისა და სამოქალაქო აქტიურობით გმორჩეულ ახალგაზრდებს.

თანხის ოდენობა არ აღემატება 500 ლარს. დაინტერესებულმა პირებმა აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროში უნდა შეავსონ სასწავლო განაცხადის ანკეტა და წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: პირადობისა და დევნილის მოწმობის ქსეროასლი, ცნობა და რეკომენდაცია/დახასიათება სასწავლო დაწესებულებიდან, ნიშნების ფურცლები, სოციალურად დაუცველი პირის დამადასტურებელი მოწმობა, სერტიფიკატები.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ კონკურსების ბლოკში:
http://meca.gov.ge/itst/index.php?module=ContentType&action=view&id=24&lang=geo

განაცხადი მიიღება 2012 წლის 16 თებერვლის ჩათვლით, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროში, მისამართი: ქ. თბილისი, უზნაძის 68, ტელ: 2950752

* * *

7 თებერვალს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და ქალაქ თბილისის მერიის მხარდაჭერით, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში, ხელოვნების სკოლამ „აფხაზეთი №1“ და საოპერო სიმღერის სახლმა, პირველად საქართველოს სახელოვნებო სკოლების სივრცეში, გამართეს თეატრალიზირებული კონცერტი „მოცარტიანა“, რომელშიც მონაწილეობდნენ: მოსწავლეები, პედაგოგები და კამერული ორკესტრი.

ღონისძიების მიზანი იყო სკოლის აღსაზრდელების აკადემიური და საშემსრულებლო დონის წარმოჩენა, რაც ხელს შეუწყობს საოპერო სიმღერისა და კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციას.

ხელოვნების სკოლა „აფხაზეთი №1“, თბილისის მერიის მიერ, 2008 წელს, „სოხუმის №1“ სამუსიკო სკოლის ბაზაზე დაფუძნდა. მერიის მიზნობრივი პროგრამებით, სკოლაში სწავლობენ: თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მოსწავლეები, მათ შორის ეთნიკური აფხაზები, რეპატრიანტი მესხები და ინგილოები.

აფხაზეთიდან დევნილი შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდები, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს პროგრამის ფარგლებში, ფინანსდებიან. სკოლა წარმატებით მონაწილეობს სხვადასხვა საქალაქო თუ რესპუბლიკური მასშტაბის სახელოვნებო კონკურსებსა და ფესტივალებში.

სპორტი

ახალი მიდგომები მოზარდებისთვის

საქართველოს ძიუდოს ფედერაციამ სერიოზული რეფორმები წამოიწყო, რომლებიც პირდაპირ კავშირშია ბავშვთა ძიუდოსთან, ახალგაზრდებისა და ჭაბუკთა გუნდებთან. ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შეიცვალა ძიუდოს წესები, ის სულ ახლებურ სტილზე გადადის, მასთან ფეხის აწყობის გარეშე კი წარმატებას ვერ მივაღწევთ. საჭიდაო სტილის უფროსთა ნაკრებიდან შეცვლა რომ ხეირს არ დაგვაყრის, ეს ეროვნული გუნდის ბოლოდროინდელმა ჩავარდნამაც დაადასტურა. ამიტომ ფედერაცია სწორ გზას დაუბრუნდა და ახალი წესების დამკვიდრება ბავშვებიდან დაიწყო.

თუმცა, ფედერაციული რეფორმა მხოლოდ სტილს არ უკავშირდება და საკუთრივ ქვეყნის შიგნით სტრუქტურული ცვლილებებიც წამოიწყო, რაც ითვალისწინებს ქვეყნის მასშტაბით მატერიალურ-ტექნიკური ბაზის – დარბაზების, ინვენტარის, ტატამების, კიმონოების, მწვრთნელების, სპორტსმენების ზუსტ აღრიცხვას, რათა გაირკვეს, რა გვჭირდება და რამდენი (დღემდე ეს სტატისტიკაც არ არსებობდა). ამასთან, ფედერაციამ შემოიღო კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი სიახლე – სარეიტინგო შეჯიბრებები, ქვეყნის მასშტაბით, ყველა ასაკობრივ ჯგუფში. სეზონის განმავლობაში ოთხი ასეთი ტურნირი გაიმართება, დაგროვილი ქულებით კი შედგება რეიტინგი და გაირკვევიან ნონების ლიდერები. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჭაბუკთა ასაკში, თორემ ახალგაზრდებსა და უფროსებში, ძირითადად, საერთაშორისო შეჯიბრებების ხარჯზე ეს მეტ-ნაკლებად გარკვეული იყო. უმცროსებს უცხოური ტურნირები აშკარად აკლიათ, ქვეყნის შიგნით კი საკმაოდ ბევრი იმართება. ოღონდ მათი უმეტესობა არასტანდარტულ დარბაზებში, აბსოლუტური განუკითხაობისა და ქაოსის ფონზე ტარდებოდა, სადაც ხშირი იყო არაობიექტური მსაჯობაც. ამიტომ იქ ნაჩვენები შედეგი არც ნაკრების მწვრთნელებს ადგებოდათ საქმეში. ამიერიდან ასე აღარ იქნება – ფედერაცია მკაცრად ითხოვს ყველა აუცილებელი ნორმის დაცვას, დარბაზის სტანდარტებიდან დაწყებული გამკაცრებული დისციპლინით დამთავრებული. უკლებლივ ყველა შეჯიბრებას დაესწრება ფედერაციის წარმომადგენელი, რომელიც დაწერს პატაკს შეჯიბრების მიმდინარეობის შესახებ და თუ რომელიმე ტურნირი სტანდარტებს ვერ დააკმაყოფილებს, ორგანიზატორებს მომავალ წელს მისი გამართვის უფლება ჩამოერთმევათ.

ცხადია, სტანდარტებში ობიექტური მსაჯობაც შედის – ამ შეჯიბრებებს ფედერაციის ლიცენზირებული არბიტრები მოემსახურებიან და არა შემთხვევითი პირები, ისინი კი საკუთარ რეპუტაციას არ გაწირავენ. თან ვერც მასპინძლები მოსთხოვენ მიკერძოებას, რადგან ტურნირის ჩატარების უფლებას დაკარგავენ. ეს ყველაფერი სასიკეთოდ წაადგება ბავშვთა სპორტს, რადგან წინა წლებში ამ მხრივ სრული განუკითხაობა სუფევდა და ვინ მოთვლის, უსამართლო წაგებით გულდამწვარ რამდენ ბავშვს უტირია ან რამდენს დაუნებებია თავი სპორტისთვის (ამ რამდენიმე წლის წინ სწორედ ატირებული ბავშვების დანახვაზე იყო, სპორტის სასახლეში, ზემდგომთ ერთხელ და სამუდამოდ დაუნდობელი ბრძოლა რომ გამოუცხადეს ასაკის გადაკეთების მავნე პრაქტიკას ძიუდოში, რაც მერე სპორტის სხვა სახეობებზეც გავრცელდა, თუმცა იქ ვერ მიიღო ძიუდოს მსგავსი მასშტაბები). თან ორგანიზებულად გამართულ შეჯიბრებაზე ბავშვებიც დისციპლინას მიეჩვევიან, მიხვდებიან, რომ წესები უნდა დაიცვან, თორემ იმ ქაოსის შემყურენი ხშირად უცხოეთშიც ისე იქცეოდნენ, რასაც აქ ხედავდნენ.

საქართველოს ჭაბუკთა და ახალგაზრდული გუნდები უკვე ემზადებიან წლევანდელი სეზონის უმთავრესი შეჯიბრებებისთვის და აქედანვე არჩევენ სანაკრებო კადრებს. სარეიტინგო ტურნირები ერთ-ერთი მთავარი შესარჩევი იქნება, ანუ ისინი ორმაგ დატვირთვას იძენენ. ამიტომ სპორტსმენებსაც მოიზიდავს და ასეც ხდება – ჯერ ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში მხოლოდ თითო ასეთი შეჯიბრება გაიმართა, თუმცა სპორტსმენთა რაოდენობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ამ რანგის ტურნირები კარგი იმითაცაა, რომ რამდენჯერმე ტარდება, ანუ მწვრთნელებს არჩევანის მეტი საშუალება მიეცემათ, რეიტინგი კი ლიდერებს თავისთავად დაალაგებს და მერე არავის ექნება პრეტენზია, მე რატომ არ მიგყავართ შეჯიბრებაზე და რატომ არ მაყენებთ ნაკრებშიო. თან, რეიტინგზე სპორტსმენთა ხელფასიც იქნება დამოკიდებული.

პირველი სარეიტინგო ტურნირი გორში გაიმართა ჭაბუკთა შორის და იქ 230 მოზარდი გამოვიდა, მერე კი ანალოგიური ახალგაზრდებშიც გაიმართა ბოლნისში, სადაც კიდევ უფრო მეტი მონაწილე მოგროვდა – 268. იქ 73 კილოგრამში 68 კაცი გამოდიოდა, 66-ში – 53. რომ არა დიდთოვლობა, სპორტსმენები იქნებ მეტიც ყოფილიყვნენ, თუმცა ორგანიზატორებს არსებულმა რაოდენობამაც დიდი საქმე გაუჩინა – პირველ დღეს ასპარეზობა 23 საათზე დამთავრდა! უახლოეს სარეიტინგო შეჯიბრებებზე ფედერაცია კვოტებს დაუწესებს რეგიონებს, რათა ხალხის ასეთი მოზღვავება თავიდან აიცილოს. ახალი მიდგომების სიკეთე არა მხოლოდ რაოდენობაში გამოვლინდა, არამედ ორგანიზაციულ მხარესაც დაეტყო – ორივე შეჯიბრებამ აბსოლუტურად საქმიან ვითარებაში, აყალ-მაყალისა და არეულობების გარეშე ჩაიარა, რადგან ობიექტური მსაჯობა იყო.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ გორშიც და ბოლნისშიც მთელი საქართველო იყო წარმოდგენილი. გორში ოქროს მედლები სამმა რეგიონმა – შიდა ქართლმა, კახეთმა და თბილისმა თანაბრად გაინაწილეს, 3-3 ირგუნეს. იქ კახელთაგან ჩემპიონობა **ნიკა ჭიკაიძემ** (46), **ვანო ჩურჩხელაშვილმა** (73) და **დავით ოზბეთელაშვილმა** (90) მოიპოვეს, თბილისელთაგან – **ზაზა მეგრელიშვილმა** (66), **გიორგი ქურდიანმა** (81) და **გიორგი ძებისაშვილმა** (+90), შიდა ქართლელთაგან – **არჩილ ქარელიშვილმა** (50), **გიორგი კაციაშვილმა** (55) და **გიორგი მეტრეველმა** (60).

ბოლნისური შეჯიბრება ტრაგიკულად დაღუპული ცნობილი ფალავანის – ანზორ მარგველანის სახელს ატარებს და ადრეც დიდი პოპულარობით სარგებლობდა, მაგრამ წლეულს უჩვეულოდ დიდი ინტერესი გამოიწვია. იქ ოქროს მედლები შედარებით ბევრ რეგიონზე გადანაწილდა, თუმცა რაოდენობით ყველას თბილისმა აჯობა, სამი მოიპოვეს: **ბექა ნათათრალიშვილმა** (55), **ლაშა ტაველურმა** (90) და **გიორგი ქავთარაძემ** (100). ორი ოქრო ირგუნა ქვემო ქართლმა – **ბექა ვიბლიანმა** (66) და **ფრიდონ გიგანმა** (73), დანარჩენი ოქროები კი, შიდა ქართლელმა **ვაჟა მარგველაშვილმა** (60), მცხეთა-მთიანეთელმა **ბექა დონღვანმა** (81) და იმერელმა **გიორგი ზაქარიაძემ** (+100) მოიპოვეს.

სტუდენტური ზამთარი

იანვრის ბოლოს ბაკურიანმა სტუდენტთა შორის საქართველოს ჩემპიონატს უმასპინძლა სამთო-სათხილამურო სპორტში, რომელიც საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და შესაბამისი ფედერაციების ხელმძღვანელთა დახმარებით გაიმართა.

ძიუდოისტთა ტურნირი გორში

საქართველოში ძიუდოს შემომტანი მწვრთნელის – გურამ პაპიტაშვილის სახელობის გორის დარბაზმა არაერთი სახელოვანი ფალავნის აღმზრდელ გივი ზაუტაშვილის სახელობის ტურნირს უმასპინძლა 1998-2000 წლებში დაბადებულ ჭაბუკ ძიუდოისტთა შორის. ამ შეჯიბრებას უკვე 10 წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს და პერიოდულად მასში სომხეთ-აზერბაიჯანის გუნდებიც გამოდიან, თუმცა უმეტესად მაინც შიდა მასშტაბის ტურნირად რჩება. ამჯერადაც ასე იყო და ძირითადად შიდა ქართლის რეგიონით შემოიფარგლა. გუნდურ ჩათვლაში გორელებმა იმარჯვეს, რომლებმაც ოქროს ოთხი მედალი დაისაკუთრეს: **არმაზ არჩუაძემ** (30), **ზურაბ კახნიაშვილმა** (38), **რობიზონ ბეგლარიშვილმა** (46) და **ოთარ გოგიძემ** (60). სამ-სამი ოქრო ირგუნეს ქარელმა და ხაშურმა.

ქარელელთაგან ჩემპიონები **გიორგი ლურსმანაშვილი** (27), **ვაჟა მარჯანიძე** (42) და **ნიკა სიდამონიძე** (+60) გახდნენ, ხაშურელთაგან – **ნოდარ გელაშვილი** (34), **თორნიკე გრიგალაშვილი** (50) და **ლუკა მაისურაძე** (55).

რუბრიკას უძღვება
ირაკლი თავაძე

ინფორმაცია

* * *

აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა გია აბულაძემ, აჭარის ჯანდაცვის მინისტრთან თემურ გაბაიძესთან ერთად შეხვედრა გამართა რიზეს უნივერსიტეტის სამეცნიერო ჯგუფთან.

ვიზიტის ფარგლებში, რიზეს უნივერსიტეტისა და შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორებმა ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რაც სხვადასხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებს ფაკულტეტის წევრებისა და მკვლევარების, ასევე, სტუდენტების გაცვლითი პროგრამების განხორციელებას.

* * *

ბათუმის №2 საჯარო სკოლაში აჭარის ა/რ ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის მინისტრმა თემურ გაბაიძემ და აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა გია აბულაძემ უწყებებს შორის ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს. მემორანდუმის ფარგლებში, ჯანდაცვის სამინისტროს 2012 წლის მიზნობრივი პროგრამა „ჯანსაღი სკოლა“ ამოქმედდა, რომლის ფარგლებშიც, რეგიონის მასშტაბით პირველად, მერვე კლასის მოსწავლეებს სამედიცინო-პროფილაქტიკური გამოკვლევები ჩაუტარდებათ. პროგრამის ფარგლებში, გამოკვლევა სულ 37342 მოსწავლეს ჩაუტარდება.

საქართველოს უნივერსიტეტი

საქართველოს უნივერსიტეტი ყველაზე დიდი კერძო უნივერსიტეტია საქართველოში, რომელსაც სახელმწიფო უნივერსიტეტების შემდეგ ყველაზე დაბალი და ხელმისაწვდომი საფასური აქვს

საქართველოს უნივერსიტეტში ფუნქციონირებს შვიდი სკოლა:

ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის სკოლა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა, სოციალურ მეცნიერებათა სკოლა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სკოლა, სამართლის სკოლა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა, IT და მათემატიკის სკოლა).

საქართველოს უნივერსიტეტი ამზადებს თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით აღჭურვილ პროფესიონალებს.

ბიზნესის მართვაზე, ტურიზმზე, ეკონომიკასა და საჯარო მმართველობაზე ჩარიცხულ სტუდენტებს, სურვილის შემთხვევაში, საშუალება ექნებათ, დამატებით მიიღონ მენეჯმენტის აკადემიის UniMan (გრენობლი, საფრანგეთი) დიპლომი. სწავლის დამთავრების შემდეგ სტუდენტები მიიღებენ ქართულ და ფრანგულ დიპლომებს, ხოლო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლაში ჩარიცხული სტუდენტები ერთ სემესტრს გაატარებენ მიუნსტერის (გერმანია) ან La sapienza-ს (იტალია) უნივერსიტეტებში. დამატებითი პირობები მესამე სასწავლო წლის დაწყებამდე დადგინდება.

საქართველოს უნივერსიტეტის თითოეული სკოლა, სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში ჩართვის მიზნით, ახორციელებს სამეცნიერო პროექტებს: სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებსა და მუდმივმოქმედ სემინარებს.

უნივერსიტეტში საუკეთესო აკადემიური მოსწრების სტუდენტებს ენიშნებათ ყოველთვიური სტიპენდია.

საქართველოს უნივერსიტეტში აქტიური სტუდენტური ცხოვრებაა. სტუდენტებისთვის ეწყობა: ექსკურსიები, ლაშქრობები, სპორტული შეჯიბრებები, კულტურული საღამოები.

სტუდენტებს შეუძლიათ თავისუფალი დროის უნივერსიტეტში გატარება, ამისათვის ჩვენ გვაქვს კეთილმოწყობილი კაფეტერია, ბიბლიოთეკა და კომპიუტერის ოთახები, სადაც სტუდენტები ერთად მეცადინეობენ. ასევე, უნივერსიტეტს აქვს ღია და დახურული სპორტული დარბაზი, სადაც ეწყობა სპორტული შეჯიბრებები.

www.ug.edu.ge

„ახალი განათლების“ წიგნის ფარო

მიმდინარეობს ხელმოწერა

გადმორიცხვისას აუცილებლად მიუთითეთ
ქალაქი, რაიონი, სოფელი, სკოლა, სახელი და გვარი.

შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!

მსურველები დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
295 80 23; 8790 95 80 23; 577 13 22 83.

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ს/ს„ლიბერთი ბანკი“, ბ/კLBRTGE22, ა/აGE93LB0113314052305000

ქართველი მწერლები

- ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული), I-IV ტომი, – 11 ლარი
- ალექსანდრე ყაზბეგი (2-ტომეული), I-II ტომი, – 11 ლარი
- მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული), I-VII ტომი – 11 ლარი
- ლევან გოთუა (7-ტომეული), I-II ტომი – 16 ლარი
- ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული), I-II ტომი – 15 ლარი
- კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, II, III, VI, VII,VIII ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი –18 ლარი
- რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული), I-VI ტომი – 12 ლარი
- ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული), I-IV ტომი –12 ლარი
- გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული), I-III ტომი – 12 ლარი
- ოტია იოსელიანი (10-ტომეული), I-IX ტომი – 12 ლარი
- თამაზ ჭილაძე (6-ტომეული), I-VI ტომი – 10 ლარი
- გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული), I-IV ტომი – 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“ 12 ლარი

„რა არის რა“ 11 ლარი

მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია ~~45~~ 35 ლარი

საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია ~~30~~ 26 ლარი

ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია ~~40~~ 30 ლარი

„ფიფქია“

საყმაწვილო ენციკლოპედია „მუსიკა“	საყმაწვილო ენციკლოპედია „სპორტი“	მოსწავლეებისა და პედაგოგების სამაგიდო წიგნი თამარ ბეროზაშვილი „ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი“
~~29.90~~	~~29.90~~	~~14.90~~
17 ლარი	10 ლარი	10 ლარი

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 295 80 23, 8790 958023, 577 132283.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba
რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციის რეკვიზიტებია:
საქართველოს ბანკი
ბ/კ BAGAGE22,
ს/კ 202058735,
ა/ა GE 86 BG 0000000 123631000 GEL

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.